

საქართველოს ანალოგაზრდა იურიდიული ასოციაცია

სარევიზიო და
რეკომენდაციები
სისხლის სამართლის
მართლმსაჯულებაში

თბილისი
2012

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**ხარვეზები და რეკომენდაციები
სისხლის სამართლის
მართლმსაჯულებაში**

თბილისი
2012

კვლევა დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დონორის ოფიციალური პოზიცია.



**ავტორები: ეკა სუციშვილი
სოფო ვერძაშვილი**

რედაქტორი: სათუნა ყვირაღაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სპანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ჩუგოშვილი



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ტირაჟი: 700 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
თავი I. დანაშაულის გამოვლენა	6
1.1. ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული სტანდარტები	7
1.2. ეროვნული კანონმდებლობა	10
1.2.1. ფარული სატელეფონო მიყურადება	19
1.2.2. კონტროლირებადი მიწოდება	21
თავი II. გამოძიება	25
2.1. ამოღება	25
2.2. ჩხრეკა	28
2.3. დამცავი გარანტიები ცალკეული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას	35
2.4. მონმეთა დაკითხვა	41
თავი III. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება	45
თავი IV. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	62
4.1. ნაფიცი მსაჯულების დაცვა გარეშე ზეგავლენისგან	62
4.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი	70
თავი V. არაერთგზისი დანაშაული	73
თავი VI. სანქციის სახით ჯარიმის განჭვრეტადობა	75
დასკვნა	79

შესავალი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შემხებლობაში არსებული ყველაზე მწვავე სფეროა. ამიტომაც მისი სათანადოდ რეგულირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვას მასში დაუსაბუთებელი და არაგონივრული ინტერვენციებისგან. ამგვარი რეგულირების არარსებობა კი, პირიქით, განაპირობებს და, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს კერძო პირის ინტერესის გაუმართლებელ შეზღუდვას საჯარო ინტერესის სახელით. ამიტომაც, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკა და პრაქტიკა იმგვარად იქნეს განვითარებული, რომ დაცული იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ლეგიტიმურ ინტერესებს შორის კანონმდებლობის საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიში სწორედ არსებული ბალანსის ერთგვარ შეფასებას წარმოადგენს. სისხლის მართლმსაჯულებაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, რჩება საკითხები, რომლებიც დამატებით ძალისხმევას მოითხოვს ადამიანის უფლებების ძირითადი მოთხოვნებისა და სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით.

ანგარიშში გამოყოფილია ის საკითხები, რომლებიც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ გამოიკვეთა. ასევე, ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის კოდექსსა და მის პრობლემებზე.

2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედებული ახალი საპროცესო კოდექსი მიზნად ისახავდა წმინდა შეჯიბრებითობის დამკვიდრებას სამართალწარმოების დროს, დაცვის პოზიციების განმტკიცებას და ბრალდებულისთვის მეტი გარანტიების უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მისი პრაქტიკაში ამოქმედების შემდეგ გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც კოდექსის აღიარებულ მიზნებს არ შეესაბამება და ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. წინამდებარე ანგარიშში განხილულ იქნება დღესდღეობით არსებული თვალსაჩინო პრობლემები, რომელთაც ადგილი აქვს სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო ხარვეზებზე და შემოთავაზებულია რეკომენდაციები არსებული

ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, საკითხები შერჩეულია მათი პრობლემატიკის სენსიტიურობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია მოსაზრებები სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ნაწილების რევიზიის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა, ვფიქრობთ, წარმოდგენილი საკითხები ხელს შეუწყობს რეფორმის მიმდინარეობას.

თავი I

დანაშაულის გამოვლენა

დანაშაულის გამოვლენა და აღკვეთა უსაფრთხო სივრცის შექმნის უმთავრესი წინაპირობაა, რაც თავისთავად საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოების ეს ინტერესი ხშირად ინდივიდის ინტერესთან კონფლიქტში თანაარსებობს, რაც საკითხის განსაკუთრებულ ხასიათზე მიუთითებს. ამგვარი თავისებურება კი, საჭიროს ხდის, დანაშაულის გამოვლენის მთელი პროცესი, მათ შორის, ყველა შესაბამისი ღონისძიება მკაცრ სამართლებრივ რეგულირებას ეფუძნებოდეს და კონტროლის შესაბამისი მექანიზმებით იყოს უზრუნველყოფილი.

კვლევის წარმოდგენილი ნაწილი მიმოიხილავს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის სამართლებრივ ხარვეზებს, რომელთა დაფიქსირება კანონის რევიზიისა თუ პრაქტიკაში მოქმედების დროს მოხდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის გამოვლენის კანონით დადგენილი პროცედურა პირდაპირ კავშირშია პირის პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროსთან, შემოთავაზებული რეგულირებები განხილულია სწორედ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში.¹

ზოგადი შეფასების სახით უნდა ითქვას, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოთავაზებული რეგულირებები ვერ უზრუნველყოფს დაცვის სათანადო გარანტიებს, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, საფრთხის ქვეშ აყენებს პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების დაუსაბუთებელი ჩარევისგან.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია, ცალკე თავის სახით, შეიცავდა დებულებებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული თავი ამოქმედდებოდა

¹მიითითებულ მუხლებზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

2011 წლის აპრილში. მანამდე კი, ძალაში რჩებოდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონი. ასევე, იყო მითითება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ თავს ექნებოდა დროებითი ხასიათი და იუსტიციის სამინისტრო მოამზადებდა ახალ კანონს, რომელიც სრულიად ახლებურად დაარეგულირებდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. თუმცა, 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით გაუქმდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ნორმები და ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მე-4 ნაწილის მითითებაც ამის შესახებ. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ დღეს მოქმედ კანონს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ დროებითი ხასიათი არ გააჩნია. იმის გათვალისწინებით კი, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის არსებულ რედაქციას არაერთი ნაკლოვანება გააჩნია, ის სწორედ ფართომასშტაბიან რევიზიას მოითხოვს იმისთვის, რომ მისი მოქმედებისას დაცული იყოს კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები.

1.1. ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული სტანდარტები

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კონკრეტული სახეების განხილვამდე, საინტერესოა იმ ზოგადი სტანდარტების წარმოდგენა, რაც ევროპული სასამართლოს პრეცედენტებიდან გამომდინარეობს. ევროპული სასამართლოს მოსაზრებების ანალიზი, თავისთავად, წარმოაჩენს ეროვნული კანონმდებლობის ძირითად ხარვეზებს და შეუსაბამობებს ადამიანის უფლებების ძირითად სტანდარტებთან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიც სასამართლომ, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების კრიტერიუმები ჩამოაყალიბა, არის – *Iordachi and Others v. Moldova*.²

ამ საქმეში სასამართლომ განსაზღვრა კანონის საფუძველზე პირად ცხოვრებაში ჩარევის ცნება. სასამართლოს განმარტებით, „კანონის თანახმად“ ნიშნავს შიდა საკანონმდებლო საფუძველს.

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Iordachi and others v. Moldova*, - №25198/02, 14 სექტემბერი, 2009.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ თავად კანონი, რომელიც არის უფლებაში ჩარევის შიდა საკანონმდებლო საფუძველი, უნდა იყოს განჭვრეტადი.³

განჭვრეტადობის ნაწილში (foreseeability) სასამართლო გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, რაც საინტერესოა საქართველოს კანონმდებლობისთვისაც. სასამართლო, უპირველესად, აკეთებს განმარტებას, რომ განჭვრეტადობაში გამოირიცხება ის მდგომარეობა, როცა პირს ეცნობება, როდის დააკვირდებიან,⁴ რის შემდეგაც ის თავის საქციელს შეუსაბამებს ამ ფაქტს.⁵ სასამართლო ასევე აყალიბებს კანონმდებლობის მიმართ მოთხოვნას, რომ დეტალურად იქნეს განერილი ღონისძიების ჩატარების წესები. ასევე, კანონმა დაადგინოს ღონისძიების განხორციელების მეთოდი და დისკრეციის ფარგლები, რომელიც მინიჭებული აქვს კომპეტენტურ თანამდებობის პირებს იმისთვის, რომ ინდივიდს მიეცეს თვითნებური ჩარევისაგან ადეკვატური დაცვის შესაძლებლობა.⁶

სასამართლო ასევე აცხადებს, რომ მოლდოვას კანონმდებლობით არ არის საკმარისად განსაზღვრული იმ დანაშაულთა წრე, რომელთა გამოც შეიძლება გაიცეს მიყურადების სანქცია. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნახევარზე მეტი ხვდება იმ კატეგორიაში, რომლის გამოც შესაძლოა მოხდეს მიყურადება.⁷

ამავე საქმეში, სასამართლომ იმსჯელა თავად სასამართლოს როლზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონიერად ჩატარების ზედამხედველობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ამ ნაწილში სასამართლოს როლი საკმაოდ შეზღუდული იყო. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოლდოვას კანონმდებლობაზე, რომელიც არ ითვალისწინებდა ჩატარებული ფარული დაკვირვების შედეგების მოსამართლისთვის გაცნო-

³ Iordachi and Others v. Moldova, §§37-38.

⁴ დაკვირვება მოიცავს „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საფოსტო და კომპიუტერულ კონტროლს, ვიდეო და აუდიო ჩანწარას, ელექტრონულ თვალთვალს.

⁵ Iordachi and others v. Moldova, §39.

⁶ Iordachi and others v. Moldova, §39.

⁷ Iordachi and Others v. Moldova, §44.

ბას, რაც იქნებოდა ამ ღონისძიების ჩატარების კანონიერების შემოწმების საფუძველი. ამის საწინააღმდეგოდ, აღნიშნულ უფლებამოსილებას მოვლდოვას კანონმდებლობა ანიჭებდა პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს.⁸ ამ უფლებამოსილების პროკურატურისთვის მინიჭება ვერ ჩაითვლებოდა უფლებების დაცვის ეფექტურ გარანტიად, ვინაიდან პროკურატურა წარმოადგენს ბრალდების მხარეს. გატარებული ღონისძიების კანონიერების შემოწმება კი, მხოლოდ დამოუკიდებელი, ნეიტრალური უწყების მიერ უნდა განხორციელდეს.

საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ამ საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა ფარული დაკვირვებისას აუცილებელი დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა დამკვიდრებაც უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. კერძოდ, სასამართლომ მინიმალურ სტანდარტებად დაასახელა:

- დანაშაულთა წრე, რომელზეც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფარული დაკვირვება;
- დაკვირვების ხანგრძლივობა;
- პროცედურა, რომლითაც უნდა მოხდეს მოპოვებული მონაცემების შემოწმება, გამოყენება და შენახვა;
- წინდახედულების ზომები, როდესაც მონაცემების დაკავშირება ხდება სხვა პირებთან.⁹

ამ საქმეში სასამართლოს ყურადღება დაიმსახურა ასევე ფარული მიყურადების შესახებ სასამართლოში შესული შუამდგომლობების დაკმაყოფილების სტატისტიკურმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვითაც: 2005 წელს მიყურადების ნებართვა გაიცა 2 500-ზე მეტ შემთხვევაში, 2006 წელს – დაახლოებით 1 900 შემთხვევაში, 2007 წელს კი – 2 300-ზე მეტ შემთხვევაში. სასამართლოს განცხადებით, „ამგვარი რაოდენობრივი მაჩვენებლით მოვლდოვაში ფარული მიყურადება, სულ მცირე, ზომაზე მეტადაა გამოყენებული, რაც, ნაწილობრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს კანონით გათვალისწინებული არაადეკვატური დაცვის გარანტიებით.“¹⁰

⁸ Iordachi and Others v. Moldova, §47.

⁹ Iordachi and Others v. Moldova, §95.

¹⁰ Iordachi and Others v. Moldova, §52.

ბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევა არის *Ultima Ratio* ღონისძიება. ევროპული კონვენციით დადგენილია, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა კონკრეტული პირობები და ეს პირობები იწვევს მისი განხორციელების უკიდურეს აუცილებლობას. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფარული დაკვირვება, როგორც პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში ჩარევის ერთ-ერთი სახე, უნდა განხორციელდეს როგორც *Ultima Ratio* ღონისძიება. როგორც ევროპულმა სასამართლომ ზემოთ განხილულ საქმეში მიუთითა, მოლდოვას კანონმდებლობა არ შეიცავდა დაცვის გარანტიას გარდა ერთისა, რომ მიყურადება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მიზნის მიღწევა.¹¹ სასამართლოს ამგვარი აქცენტი და ხაზგასმა იმაზე, რომ ასეთი ჩანაწერიც არ იქნა მიჩნეული დაცვის ადეკვატურ გარანტიად, საყურადღებოა საქართველოს კანონმდებლობისთვის, რომელიც ამ ტიპის ჩანაწერსაც არ შეიცავს.

1.2. ეროვნული კანონმდებლობა

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმ შეუსაბამობების გამოკვეთა, რაც ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლოს მიდგომებს შორის იკვეთება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული კანონმდებლობა პირად ცხოვრებაში ჩარევას არ ითვალისწინებს, როგორც *Ultima Ratio* ღონისძიებას. აღნიშნულის შესახებ კანონმდებლობა სპეციალურ მითითებას არ შეიცავს, შესაბამისად, ამ ნაწილში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებულ სტანდარტს. ეროვნული კანონმდებლობა ასევე ვერ პასუხობს ნორმათა განჭვრეტადობისა და სათანადო დეტალიზების მოთხოვნებს.

¹¹ იხ. *Iordachi and Others v. Moldova*, §§51, 95.

- **განჭვრეტადობა**

ამ მხრივ, საინტერესოა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შეფასება ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს ცალსახა მიდგომის ფონზე, რომლის მიხედვითაც, პირად ცხოვრებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ განჭვრეტადი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების და შეწყვეტის ვადები და წესი განისაზღვრება ამ კანონით და უწყებრივი ნორმატიული აქტებით.“

იმისათვის, რომ ნათელი გამხდარიყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პირობები, საიამ განცხადებით მიმართა შესაბამის უწყებებს უწყებრივი ნორმატიული აქტების მონოდების თხოვნით. როგორც მიღებულ პასუხში დაფიქსირდა, აღნიშნული აქტები არ არის საჯარო. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პასუხების თანახმად, მოთხოვნილი ნორმატიული აქტი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ აქტს.¹²

იმ ნორმატიული აქტების გასაიდუმლოება, რომლებიც ადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების წესსა და პირობებს, ეწინააღმდეგება კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს კი, კერძო პირს ართმევს საშუალებას, განსაზღვროს შესაბამისი უწყებების დისკრეციის ფარგლები და უფლებაში ჩარევის მეთოდები. ნორმატიული ბაზის ხელმისაწვდომობა და განჭვრეტადობა პირადი ცხოვრების უფლებაში ლეგიტიმური ჩარევის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

¹² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 30 ივლისის წერილი №1002927 და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2012 წლის 16 ივლისის წერილი №30177.

• **ნორმათა დეტალიზება**

რაც შეეხება ნორმათა დეტალიზებას, „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს,¹³ რომელთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფარული დაკვირვება. ასევე, არ არის დადგენილი პირობები, რომელთა არსებობის დროსაც შეიძლება მოხდეს მისი გამოყენება. კანონით გათვალისწინებულია იმ დანაშაულთა არაგონივრულად ფართო წრე, რომელთა გამოსავლენადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ღონისძიება.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება ... თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით.“ ასეთი კატეგორიის დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორ მესამედზე მეტს შეადგენს. შესაბამისად, წრე არაგონივრულად ფართოდ შეიძლება ჩაითვალოს. ამ საკითხს სპეციალური ყურადღება დაუთმო ევროპულმა სასამართლომაც.

ნორმათა დეტალიზებისა და განჭვრეტადობის ჭრილში უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრას შიდა უწყებრივ ნორმატიულ აქტს უკავშირებს. როგორც აღინიშნა, შიდა უწყებრივი აქტები მოძიებული ვერ იქნა. ამიტომაც არ არის გამოორიცხული, ზემოაღნიშნული გარემოებები ჩამოყალიბებული იყოს ამ აქტებში, თუმცა, ეს საკანონმდებლო საფუძვლების ბუნდოვანების საკითხს არ ხსნის. იმ პირობებში, როდესაც პროცედურების დამდგენი ნორმატიული აქტი არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი კერძო პირებისთვის, ეჭვქვეშ დგება უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობა.

¹³ უნდა იყოს მითითებული, სავარაუდოდ, ვის შეიძლება მოუსმინონ და არა მხოლოდ ის, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ფარული მიყურადება.

- **შემდგომი სასამართლო კონტროლი**

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სასამართლოს მონაწილეობა პროცესში შემოიფარგლება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ ნებართვის გაცემით. პროცესზე სასამართლოს კონტროლი მთავრდება სწორედ ამ ეტაპზე და იგი აღარ ზედამხედველობს უშუალოდ ღონისძიების განხორციელების პროცესის კანონიერებას.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოლდოვას სასამართლოს შემცირებულ როლზე ამ პროცესში, რომელსაც ასევე არ ჰქონდა უფლებამოსილება, ეკონტროლებინა გატარებული ღონისძიების კანონიერება.

სასამართლოს როლის შემოსაზღვრა მხოლოდ ნებართვის გაცემით ვერ ქმნის პირის დაცვის ადეკვატურ გარანტიებს და გაუმართლებლად დიდ უფლებამოსილებას უტოვებს ბრალდების მხარეს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია სასამართლოს პოზიციის გაძლიერება ამ მიმართულებით.

- **სტატისტიკა**

ფარული სატელეფონო მიყურადების გამოყენების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გასარკვევად, საიამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სასამართლომ უარი განაცხადა აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებაზე, იმ მოტივით რომ მიყურადებაზე ნებართვის გაცემის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა არ ხორციელდება¹⁴. სხვა ტიპის მსჯელობის საგანია ის, უნდა იყოს თუ არა საიდუმლო მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები ფარულ მიყურადებაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ. მოლდოვას კანონმდებლობაც კი, ფარული მიყურადების შესახებ, რომელიც საბოლოო ჯამში ევროპული სასამართლოს მიერ დასახელებული გადაწყვეტილებით „დანუნებულ“ იქნა, ითვალისწინებს ამ ინფორმაციის საჯაროობას. ამ პირობებში ნათელი ხდება, რომ საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უფრო დაბალ სტანდარტებს ითვალისწინებს ამ მიმართულებით.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის ნერილი № 43-კ

• **თვითნებობისაგან დაცვის გარანტიები**

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა ქმნიდეს სათანადო გარანტიებს კერძო პირების დასაცავად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას შესაბამისი უწყებების თვითნებობისაგან. ამგვარ გარანტიებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წინა სასამართლო (საპროკურორო) კონტროლი და შემდგომში უკვე – სასამართლო კონტროლი.

- წინასასამართლო (საპროკურორო) კონტროლი

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისა და ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების ზედამხედველობის ვალდებულებას საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს აკისრებს,¹⁵ თუმცა, უშვებს გამონაკლისს ცალკეული ტიპის ინფორმაციაზე, რომელზეც არ ვრცელდება საპროკურორო კონტროლი.

იმისათვის, რომ პროკურატურის მიერ ეფექტურად იქნეს განხორციელებული კანონიერების ზედამხედველობა, აუცილებელია პროკურორს ჰქონდეს დაშვება იმ პირებზე, რომლებიც უწევენ ან უწევდნენ კონფიდენციურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს, ასევე, თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ მათთან. საპროკურორო ზედამხედველობის საგანს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზაცია. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი რეალური ზედამხედველობის განხორციელება და, კერძოდ, პირთა ინტერესების დაცვა შესაბამისი უწყებების თვითნებობისგან.

ამის მიუხედავად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ეს მონაცემები არ წარმოადგენს პროკურორის ზედამხედველობის საგანს.

გამონაკლისის სახით, კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელმძღვანელი პროკურორების და მათ მიერ განსაზღვრული სხვა პროკურორების (იუსტიციის მინისტრი; მთავარი პროკურორი

¹⁵ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

და მისი მოადგილეები; მთავარი პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების უფროსები და მათი მოადგილეები; ქ.თბილისის პროკურორი და მისი მოადგილეები და რაიონული პროკურორები თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე, იუსტიციის მინისტრის, მთავარი პროკურორის და მისი მოადგილეების, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, საოლქო პროკურორების, ქ.თბილისის პროკურორისა და რაიონული პროკურორების მიერ განსაზღვრული სხვა პროკურორები) მიერ ოპერატიულ ინფორმაციასთან დაკავშირებული საიდუმლო მასალების და, მათ შორის, იმ პირთა მონაცემების გაცნობის უფლებას, რომლებიც კონფიდენციალურად უწევენ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს.¹⁶

ჩამოთვლილი პირების უმეტესობას უშუალო შეხება არ აქვს წინასწარ გამოძიებასთან, ვინაიდან მათ შორის შუალედურ რგოლს წარმოადგენს პროკურატურის ერთეულის პროკურორი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს პოლიციის საქმიანობას და აკონტროლებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას. საგულისხმოა, რომ ამ პროკურორის ვალდებულების მიუხედავად, აკონტროლოს ოპერატიული საქმიანობის კანონიერება, მას დაშვება არ აქვს ზემოაღნიშნულ საიდუმლო ოპერატიულ ინფორმაციასთან. ლოგიკურია, რომ იმ საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობა, რომლის გაცნობის უფლებაც პროკურორს არ გააჩნია, მინიმალურია.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც პოლიციის თანამშრომელი აცხადებს, რომ მას აქვს ოპერატიული ინფორმაცია დანაშაულის ნიშნების არსებობასთან დაკავშირებით, მონოდებული – კონკრეტული კონფიდენცის მიერ, რაც საჭიროებს ადამიანის უფლების შემზღვეველი ღონისძიების ჩატარებას. ამ შემთხვევაში, პროკურორს არ აქვს შესაძლებლობა, გადაამოწმოს, რეალურად ეს კონფიდენცი აწვდის თუ არა პოლიციელს ამ ინფორმაციას და რამდენად სარწმუნოა მის მიერ მონოდებული ინფორმაცია. რიგით პროკუ-

¹⁶ იხ. „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3, ასევე, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტები.

რორს ამ ინფორმაციის გაცნობის უფლება შეიძლება მიეცეს მისი ხელმძღვანელი პროკურორის მიერ ამ უკანასკნელის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ანუ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სხვა დანარჩენ შემთხვევაში, პროკურორი მოკლებულია შესაძლებლობას, ეფექტურად განახორციელოს კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, კანონი, ერთი მხრივ, ვერ ქმნის კანონიერების კონტროლის რეალურ მექანიზმებს და, ამასთან, ვერ უზრუნველყოფს სათანადო გარანტიებს საპროკურორო კონტროლის ეფექტურად განხორციელებისთვის. საბოლოო ჯამში, კანონიერების კონტროლის არაეფექტური მექანიზმების არსებობა კერძო პირების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ინფორმაციაზე პროკურორის დაშვების მექანიზმები.

- *სასამართლო კონტროლი*

ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და სტატუსის გათვალისწინებით, კანონმდებლობა უფლების შემზღვეველი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, რომელსაც ასევე აკისრებს არბიტრის ფუნქციას, როგორც მიუკერძოებელ, ნეიტრალურ ორგანოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება სასამართლოს განჩინებით. პროკურორის შუამდგომლობას ფარული მიყურადების შესახებ განიხილავს სასამართლო დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობს პროკურორი. მოსამართლე, შუამდგომლობასთან ერთად, განიხილავს თანდართულ მასალებს და ისმენს პროკურორის განმარტებას, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას. შუამდგომლობის განხილვის პროცესისთვის მნიშვნელოვანია პროკურორის მონაცემებზე წვდომის საკითხი, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. როგორც აღინიშნა, ყველა პროკურორს არ აქვს დაშვება ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების ტაქტიკის, მეთოდების, კონფიდენცის შესახებ. ამის გათვალისწინებით, მას არ შეუძლია, ინფორმაცია მიაწოდოს მოსამართლეს ან განმარტება გააკეთოს ამ საკითხებთან

დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ ამ სახის მასალაზე წვდომა არც მოსამართლეს გააჩნია.¹⁷

აღნიშნული მიუთითებს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერების კონტროლი სათანადო დოზით არ არის უზრუნველყოფილი არც საპროკურორო და არც სასამართლო დონეზე. მოსამართლე, ისევე როგორც პროკურორი, შეზღუდულია ინფორმაციაზე სრულყოფილი წვდომის ნაწილში.

იმისათვის, რომ ოპერატიული ღონისძიებების კანონიერებაზე კონტროლი გახდეს ქმედითი, აუცილებელია, მოსამართლეს მიენიჭოს უფლება, გაეცნოს ოპერატიულ მონაცემებს, კონფიდენტის შესახებ ინფორმაციას, ოპერატიული ღონისძიების ორგანიზებისა და ჩატარების ტაქტიკას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება დახურულ სხდომაზე, არ შეიძლება არსებობდეს ანონიმურობის დაცვისა და ოპერატიულ ღონისძიებაში ჩართული პირების უსაფრთხოების საკითხი. ეს ასევე გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას.

- **გასაჩივრების მექანიზმი**

აღსანიშნავია, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი პირის მიერ მის მიმართ განხორციელებული ფარული მიყურადების გასაჩივრების მექანიზმი. პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვა მისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია, ასეთი მოქმედების კანონიერება გაასაჩივროს შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში. თუმცა, ამ უფლებით სარგებლობისას, პრობლემურია პირის ინფორმირებულობის საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა ფარული მიყურადება.

ბუნებრივია, ფარული სატელეფონო მოსმენა იმგვარად მიმდინ-

¹⁷ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

არეობს, რომ პირს არ აქვს შესაძლებლობა, გაიგოს, რომ მას უსმენენ. ლოგიკურად, თუკი ფარული მოსმენის დასრულების შემდეგ, შესაბამის პირებს (ოპერატიული მუშაკი, პროკურორი) არ აქვთ ვალდებულება, აცნობონ პირს მის მიმართ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შესახებ, ამ უკანასკნელს არ ექნება შესაძლებლობა, იდავოს მის კანონიერებასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ პირს მიეცეს მის მიმართ განხორციელებული შემზღვეველი მოქმედების გასაჩივრების უფლება, აუცილებელია, კანონმა დაავალდებულოს შესაბამისი პროკურორი, განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია პირს მიაწოდოს მას შემდეგ, რაც აღნიშნული მოქმედება დამთავრდება. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი ამ საკითხს ღიად ტოვებს, რითაც აბათილებს პირისათვის მინიჭებულ უფლებას, გაასაჩივროს მის მიმართ განხორციელებული შემზღვეველი მოქმედების კანონიერება.

რეკომენდაციები

- სასამართლოს კონტროლის გაზრდა

სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, შეამოწმოს, კანონიერია თუ არა ფარული დაკვირვების მიმდინარეობა.

- წინაპირობების გათვალისწინება ფარულ მიყურადებაზე

კანონი გახდეს განჭვრეტადი, რაც გულისხმობს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იმ უწყებრივი ნორმატიული აქტების საფარობას, რომლებიც არეგულირებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩატარების და შეწყვეტის ვადებსა და წესებს.

კანონში დეტალურად განისაზღვროს იმ პირთა წრე, ვინც შეიძლება, დაექვემდებაროს ფარულ მიყურადებას; შემცირდეს დანაშაულთა წრე, რომელიც შეიძლება გახდეს ფარული მიყურადების საფუძველი.

კანონმა ფარული მიყურადება, როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევა, გაითვალისწინოს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც *Ultima Ratio* ღონისძიება და ამის შესახებ მიუთითოს ხაზგასმით და არაორაზროვანი ფორმულირებით.

- საპროკურორო და სასამართლო დაშვება

პროკურატურის პროკურორს და შუამდგომლობის განმხილველ მოსამართლეს მიეცეს უფლებამოსილება, გაეცნონ: ინფორმაციას პირებზე, რომლებიც უწევენ ან უწევდნენ კონფიდენციურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს, თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ მათთან, აგრეთვე, ინფორმაციას ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის მასალების მოპოვების მეთოდებზე, ტაქტიკასა და ორგანიზებაზე.

- გასაჩივრების მექანიზმის დახვეწა

კანონმა დაავალდებულოს შესაბამისი პროკურორი, ფარული მოსმენის დასრულების შემდეგ აცნობოს იმ პირს, ვის მიმართაც განხორციელდა მოსმენა.

1.2.1. ფარული სატელეფონო მიყურადება

ფარული სატელეფონო მიყურადება წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ერთ-ერთ სახეს, რომლის გამოყენებასაც კანონმდებლობა უშვებს იმ საჯარო ინტერესის უზრუნველსაყოფად, რაც დანაშაულთან ბრძოლაში მდგომარეობს.

ფარული სატელეფონო მიყურადების წესი დარეგულირებულია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მიხედვითაც: „... ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით გამოიყენება ... სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩანერა.“

ამავე კანონის თანახმად, ფარული სატელეფონო მიყურადება შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაყოვნებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, რაც მყისიერი რეაგირების საჭიროებას წარმოშობს. ასეთ დროს ფარული მოსმენის განხორციელება შესაძლებელია მოსამართლის ნებართვის გარეშე, პროკურორის დადგენილებით. თუმცა, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა აწესებს შემდგომი სასამართლო კონტროლის მექანიზმს, რაც გულისხმობს ფარული მოსმენის კანონიერების შემოწმებას მოსამართლის მიერ მას შემდეგ, რაც დაიწყება აღნიშნული ღონისძიების განხორციელება.

კანონით გათვალისწინებული იყო ფარული სატელეფონო მიყურადების ვადის გაგრძელების წესი იმის მერე, რაც მოსამართლე გამოიტანდა გადაწყვეტილებას მის ჩატარებაზე, ან შემდგომში მიიღებდა გადაწყვეტილებას მისი დაკანონების თაობაზე. კანონი ვადის გაგრძელების საკითხს არ უკავშირებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას და ადგენდა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადა შეიძლება გაგრძელებულიყო ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით და პროკურორის თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა დამატებითი ინფორმაციის მიღების საჭიროება. ამ წესით, ვადის გაგრძელება შესაძლებელი იყო ორ ეტაპად – ჯერ 6 თვემდე, შემდგომ 9 თვემდე.

იმის გათვალისწინებით, რომ ფარული სატელეფონო მიყურადება პირდაპირ შემხებლობაშია პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროსთან, მისი გამოყენებისას დაკმაყოფილებული უნდა იყოს უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. ნინაალმდეგ შემთხვევაში, უფლების შეზღუდვა გაუმართლებელი და არაკონსტიტუციური იქნება. უფლების იმგვარი შეზღუდვისთვის, რომ ის არ გასცდეს კონსტიტუციურ ფარგლებს, საჭიროა, პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა სანქცირებული იყოს სასამართლოს მიერ, რაც გულისხმობს სატელეფონო მოსმენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოს მიერ, თავდაპირველ ან შემდგომ ეტაპზე (კანონიერების შემონახვის ეტაპი).

საქართველოს კონსტიტუცია პირად ცხოვრებაში ჩარევას მხოლოდ სასამართლოს ანდობს და მიუთითებს, რომ ეს უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით, ან მის გარეშე – მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი კი, სატელეფონო ვადის გაგრძელებას, რაც პირად ცხოვრებაში ჩარევის გაგრძელებას გულისხმობს, დასაშვებად მიიჩნევდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მაშინაც, როდესაც სახეზე არ იყო გადაუდებელი აუცილებლობა. ეს კი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დადგენილ სტანდარტს. სწორედ ამიტომ, მსგავსი რეგულირება საიას მიერ გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც თავისი გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლები.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი, რომლითაც მოხდა სატელეფონო მოსმენისთვის ვადის გაგრძელების წესის ცვლილება. ცვლილებების მიღების შემდეგ, ვადის გაგრძელება დასაშვებია იმ წესით, რომლითაც ხდება თავდაპირველად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გამოყენების ნებართვის აღება.

1.2.2. კონტროლირებადი მინოდება

„ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ისეთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, როგორცაა კონტროლირებადი მინოდება. აღნიშნული საქმიანობა გულისხმობს: „დანაშაულის გასახსნელად, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს ფარგლებს გარეთაც), საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებადი გადაადგილება, რომლის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია“.

- **განმახორციელებელ პირთა წრე**

აღნიშნული ღონისძიების გამოყენებით, პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად, პირს გადასცემენ სათანადოდ დანომრილ თანხას, ხოლო ეს უკანასკნელი ამ თანხას გადასცემს შესაბამის პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ოპერატიული ღონისძიება. თანხის მიღების ფაქტი შემდგომში თანხის მიმღების პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება.

პრაქტიკაში კონტროლირებადი მინოდების მარეგულირებელი ნორმების ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ არ არის განსაზღვრული ვინ შეიძლება განმახორციელოს კონტროლირებადი მინოდების ღონისძიება. სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში ეს ნორმა ძალიან ფართო განმარტებით მოქმედებს. მაგალითად, ჩვენ მიერ შესწავლილ ერთ კონკრეტულ საქმეში თანხის გადამცემი

იყო თავად დაზარალებული.¹⁸ ეს კი ქმნის პრობლემას, ვინაიდან დაზარალებული არის პროცესის მონაწილე, დაინტერესებული სუბიექტი და მით უმეტეს მაშინ, როდესაც მისი განცხადების საფუძველზე იწყება გამოძიება, არსებობს მოლოდინი, რომ იგი წინასწარ შექმნილი, დაინტერესებული მიდგომით მიიღებს მონაწილეობას კონტროლირებად მიწოდებაში. ამან კი შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს გამოძიებას და ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას.

თავად კანონის ერთიანი განმარტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ახორციელებენ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურები და კონფიდენტები. კერძოდ, კანონის პირველივე მუხლი მიუთითებს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა.“ რაც შეეხება კონფიდენტებს, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტით განსაზღვრულია საიდუმლო თანამშრომლის (კონფიდენტის) ცნება, რომლის მიხედვითაც, კონფიდენტი წარმოადგენს 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან ფიზიკურ პირს, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამოძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

აღნიშნული ნორმები მიუთითებს, რომ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების უფლება მხოლოდ დასახელებულ პირებს გააჩნიათ. თუმცა, პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, ამ ღონისძიების განხორციელებაში სხვა პირების (დაზარალებულის) მონაწილეობაც ფიქსირდება, უმჯობესი იქნება უშუალოდ ნორმაში იქნეს მითითებული, რომ ღონისძიების განმარტებულ პირთა წრე შემოიფარგლება შესაბამისი სამსახურის თანამშრომლით და კონფიდენტით.

¹⁸ იხ. სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი. ნელი ნავერიანის სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011 წელი, გვ. 68-71.

- **დანაშაულის პროვოკაციის საფრთხე**

კონტროლირებად მიწოდებასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს კიდევ ერთი საკითხი, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ამ ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენებისას. მნიშვნელოვანია, რომ კონტროლირებადი მიწოდების განხორციელების დროს ამ საქმიანობის განმახორციელებელმა უფლებამოსილმა პირებმა თავიანთი ქმედებით დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა არ შექმნან. დანაშაულის პროვოკაცია, თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედებაა.¹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საქმეებში, რომლებშიც ინიციატივა და გეგმა მომდინარეობს ბრალდებულისაგან, სასამართლო არ ადგენს უფლების დარღვევას.²⁰ სასამართლო ამ ტიპის ურთიერთობას აფასებს სამართლიანი სასამართლო უფლების ჭრილში და საკითხის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს პროცესუალური გარანტიების დაცვის ხარისხზე.

ამ მხრივ, საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები, რომელიც მან განსაზღვრა საკონტროლო შესყიდვასთან დაკავშირებით მსჯელობისას.²¹ თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება (კონტროლირებადი მიწოდება და საკონტროლო შესყიდვა) ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, საკონტროლო შესყიდვასთან დაკავშირებით დადგენილი ტესტის გამოყენება კონტროლირებად მიწოდებასთან დაკავშირებით სრულიად რელევანტური იქნება.

¹⁹ სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის პროვოკაცია არის სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

²⁰ იხ. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), თბილისი, 2008 წელი, გვ. 106.

²¹ საკონტროლო შესყიდვა არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთი სახე, რომელიც „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა, ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე).

ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლო უფლების დარღვევად შეაფასა საქმე, რომელშიც განმცხადებელს, ჰერონით მომარაგების სანაცვლოდ, პოლიციის საიდუმლო აგენტებმა შესთავაზეს ფული, რასაც განმცხადებელი დათანხმდა.²² აღნიშნულის საფუძველზე, განმცხადებელს წაუყენეს ბრალი და მსჯავრი დასდეს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესების უსამართლოდ წარმართვის არანაირი ნიშანი არ იკვეთებოდა, სასამართლომ დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა იმ საფუძველზე, რომ განმცხადებლის მხრიდან დანაშაულის ჩადენა წაქეზებული იყო პოლიციის მხრიდან, რაც სხვა შემთხვევაში არ მოხდებოდა.

ზემოხსენებული საქმის მსგავსად, სასამართლომ დანაშაულის პროვოკაციად და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად შეაფასა საქმე, რომელშიც ნარკოტიკების „საკონტროლო შესყიდვა“ ორგანიზებული იყო პოლიციის მიერ და მისივე ზედამხედველობით, ხოლო სისრულეში მოყვანილ იქნა საიდუმლო აგენტის მიერ.²³

რეკომენდაცია

- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილე პირთა გამიჯვნა

მკაცრად უნდა გაიმიჯნონ ერთმანეთისაგან ის პირები, რომლებსაც აქვთ უფლება, გამოვიდნენ კონტროლირებადი მიმწოდებლის როლში და ისინი, ვინც არ მონაწილეობენ ასეთ საქმიანობაში.

- გონივრული ფარგლების დაცვა

თითოეული კონტროლირებადი მიწოდების დროს მაქსიმალური ზომები უნდა იყოს მიღებული საიმისოდ, რომ აღნიშნული არ გადაიზარდოს დანაშაულის პროვოკაციაში. ოპერატიული თანამშრომლის ქმედება არ უნდა გადაიზარდოს დანაშაულის ჩადენის წაქეზებაში.

²² Teixeira de Castro v. Portugal, 9/6/1998, ციტირება: სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), გვ. 105.

²³ Vanyan v. Russia, გვ. 105-106.

თავი II

გამოქიჯა

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით, განმტკიცებულ იქნა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ მხარეები – დაცვა და ბრალდება – სამართალწარმოების ეტაპებზე თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების დროს.

იმ პირობებში, როდესაც აღიარებულია მხარეთა თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების დროს, არსებობს მოლოდინი, რომ დაცვის მხარეს ამ პროცესში ბრალდების მხარის თანაბარი შესაძლებლობები გააჩნია. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება იმ ტიპის უფლებამოსილებები, რაც თავისი ბუნებით მხოლოდ ბრალდების მხარეს შეიძლება ჰქონდეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებისა და ამ პრინციპების პრაქტიკაში იმპლემენტაციის პროცესის პარალელურად, გამოიკვეთა მხარეთა თანასწორობის საკითხი, როგორც ერთ-ერთი მწვავე პრობლემა. აღმოჩნდა, რომ დაცვის მხარისთვის შეზღუდულია იმ ტიპის უფლებები, რასაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქმის შედეგზე.

2.1. ამოღება

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს დღეს არსებული ხარვეზები მხარეებს შორის მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე თანაბარი შესაძლებლობის კუთხით, აუცილებელია მოკლე შედარებითი ანალიზი ძველი და ახალი საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს შორის.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოცანა იყო ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ამასთან, ბრალდების მხარეს წარმოადგენდა მხოლოდ პროკურორი. გამომძიებელი არ იყო ბრალდების მხარე და მას ეკისრებოდა ვალდებულება, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მოეპოვებინა ყველა მტკიცებულება – როგორც ბრალდებულის გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი. დაცვის მხარეს, თავის მხრივ, ჰქონდა შესაძლებლობა, მისთვის სასარგებლო მტკიცებულების

მოსაპოვებლად საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობით მიემართა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის (გამომძიებელი, პროკურორი) წინასწარი გამოძიების დროს.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით კი, განისაზღვრა, რომ საქმის შედეგი მხარეებზეა დამოკიდებული. დაცვასა და ბრალდებას ევალებათ, მოიპოვონ მტკიცებულებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ ახალი საპროცესო კოდექსით გამომძიებელს აქვს ვალდებულება, ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოიძიოს სისხლის სამართლის საქმე, ის იმავდროულად ვალდებულია, განახორციელოს პროკურორის დავალება, რომლის პირდაპირ მოვალეობას ბრალდება წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე მოტივირებულია, უპირატესად, სწორედ ბრალდების მტკიცებულებები მოიძიოს. ამას გარდა, ახალი საპროცესო კოდექსი, ძველისაგან განსხვავებით, აღარ ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას მისთვის სასარგებლო მტკიცებულების მოპოვების მიზნით. ამგვარი უფლებამოსილება მნიშვნელოვანი იყო იმ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლის ჩატარებაც დაცვის მხარეს არ შეეძლო. დღეს მოქმედი სსსკ-ის 39-ე მუხლის მიხედვით, დაცვის მხარემ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, რომელსაც თავად ვერ ახორციელებს, შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს.

თუმცა, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა გამოინაკლისი, რომელსაც საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. კერძოდ, კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით, დაცვის მხარეს არ შეუძლია სასამართლოს მიმართოს ჩხრეკის და ამოღების შუამდგომლობით. ამ ტიპის საგამონაკლისო ნორმა პრაქტიკაში სერიოზულ პრობლემას ქმნის.

პრობლემის მთავარი არსი შემდეგია: როდესაც დოკუმენტი ან საგანი, რომელსაც გამამართლებელი მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს და რომლის გადაცემაზეც დაცვის მხარეს უარს ეუბნება ესა თუ ის დაწესებულება, დაცვას რჩება ერთადერთი გამოსავალი, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამ საგნის წარმოდგენასთან დაკავშირებით. სასამართლო კი, ამ

შემთხვევაში, უარს ამბობს ამ სახის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ის თავისი ბუნებით წარმოადგენს ამოღებას, რის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება ც და ცვის მხარეს საპროცესო კანონმდებლობით არ გააჩნია. ამ შემთხვევაში, მსჯელობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ორი საკითხი: არის თუ არა ამ ტიპის მოქმედება ამოღება და, ზოგადად, უნდა შეეძლოს თუ არა და ცვის მხარეს ამოღების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელი ვალდებულია, აწარმოებდეს საქმის სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, ის, როგორც ბრალდების მხარე, რომელიც პროკურორს ემორჩილება და რომელსაც ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება, არ არის ვალდებული, შეაგროვოს გამამართლებელი მტკიცებულებები. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებას აქვს შესაძლებლობა, მიიღოს და ცვის მხარისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ის არ არის ვალდებული, მოიპოვოს ეს დოკუმენტი და ცვის მხარის ნაცვლად. შედეგად, იქმნება მდგომარეობა, როდესაც პროკურორი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება მოიპოვოს დოკუმენტი არ იყენებს ამ შესაძლებლობას, ადვოკატს კი, რომელსაც სურს დოკუმენტის მიღება, ვერ იღებს მას, რადგან კანონი არ აძლევს ამის საშუალებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი დოკუმენტი/ჩანაწერი/მასალა ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი ერთადერთი ან ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება იყოს, და ცვას ერთმევა შესაძლებლობა, ეფექტურად განახორციელოს და ცვის უფლება და იმოქმედოს ბრალდებასთან თანაბარ პირობებში. ეს კი არღვევს მხარეთა თანასწორობისა და პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს.

იმისთვის, რომ პრაქტიკაში მიღწეულ იქნეს წმინდა შეჯიბრებითობა, მნიშვნელოვანია, რომ და ცვის მხარეს მიენიჭოს ამოღების შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ამ უფლების განხორციელებას უშუალოდ და ცვის მიერ. ბუნებრივია, რომ დაცვა ვერ იქნება ამ ღონისძიების განმახორციელებელი. ამ შემთხვევაში, ამოღება შეიძლება დაევალოს გამომძიებელს, რომელსაც შეეება არ აქვს მოცემულ საქმესთან. რაც შეეება და ცვის მხარეს, ის ამოღების პროცესში შეიძლება წარმოდგენილი იყოს უშუალო-

ოდ ბრალდებულის ან ადვოკატის სახით, რომელიც დაესწრება ამოღების პროცესს.

რეკომენდაცია

- დაცვის მხარის უფლებამოსილების გაზრდა

შეჯიბრებითობის პრინციპი სრულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მტკიცებულებათა მოპოვების დროს, ვინაიდან ეს ეტაპი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე: დაცვის მხარეს მიეცეს უფლება, ამოღების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

- დაკმაყოფილებული შუამდგომლობის აღსრულება


შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ საგამოძიებო მოქმედებას დაესწროს თავად ბრალდებული ან ადვოკატი, რათა საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი გამოძიებლის მოქმედება დაცვის მხარის გარკვეულ ზედამხედველობას დაექვემდებაროს.

2.2. ჩხრეკა

ჩხრეკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და ინდივიდის უფლებებთან მტკიცებულად დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებას.

ჩხრეკის საკანონმდებლო მიმოხილვას, სხვა ფაქტორებთან ერთად, საინტერესოს ხდის ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 2011 წელს ჩხრეკის თაობაზე წარდგენილი და განხილულია 13 788 შუამდგომლობა, ამათგან დაკმაყოფილებულია 13 787.²⁴

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 18 აპრილის საპასუხო წერილი საიას.



ჩხრეკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა ახალი საპროცესო კოდექსის მიღებამდე და მიღების შემდგომ განვითარებული პრაქტიკის ანალიზი, რომელიც პრობლემის მთავარ არსს წარმოადგენს. 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი (1998 წლის) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმპერატიულად ადგენდა მტკიცებულებების არსებობას ჩხრეკის საფუძველად, თუმცა, პრაქტიკაში ჩხრეკას მაინც მხოლოდ პატაკი (პოლიციის თანამშრომლის წერილობითი შეტყობინება, მის მიერ ოპერატიული ინფორმაციის ფლობის შესახებ) ედო საფუძველად. ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებასთან, რომლის მიხედვით, ჩხრეკის საფუძველს ქმნიდა მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულება კი, მხოლოდ საპროცესო კოდექსით დადგენილი წყაროდან და დადგენილი წესით მიღებულ ცნობებს წარმოადგენდა, რომლის თანახმადაც პატაკი არ იყო მტკიცებულება.

ხარვეზიანი პრაქტიკის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა ვერც ახალი საპროცესო კოდექსის მიღებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლით განისაზღვრა ჩხრეკის ცნება, რომლის მიხედვითაც, „დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.“

ზემოაღნიშნულის თანახმად, ჩხრეკის ჩატარების საფუძველად განისაზღვრა დასაბუთებული ვარაუდი. საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თავად დასაბუთებული ვარაუდის ცნებას, როგორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის გათვალისწინებულ მტკიცებულებით სტანდარტს.

ნათელია, რომ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისათვის აუცილებელია: 1. ფაქტების, ან ინფორმაციის ერთობლიობა; 2. უკვე არსებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებები; 3. ამ ორი ელემენტის ერთობლიობა, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ. კოდექსი არ გვთავაზობს ინფორმაციის და ფაქტის კოდექსიურ ცალკე განმარტებას. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ რაიმე დამატებითი ან განსხვავებული მნიშვნელობა არ გააჩნია კოდექსის მიზნებისათვის. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, ყურით გაგონილი, ტელევიზიით მოსმენილი ან ვინმეს მიერ მოყოლილი ამბავი შეიძლება იყოს ინფორმაცია, ან, მაგალითად, ქუჩაში შემთხვევით ნანახი რაიმე მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ფაქტად. პოლიციელის პატაკი, სადაც ის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებს, შეიძლება, თავისთავად, იყოს ინფორმაცია. თუმცა, ეს მოცემულობა, ცალ-ცალკე აღებული, არ ქმნის ჩხრეკის ჩატარების საფუძველს, თუკი სახეზე არ არის ნიადაგი, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ დანაშაული სავარაუდოდ ამ პირმა ჩაიდინა. პატაკი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის წერილობითი ინფორმაციაა, რაც ცალკე აღებული, რათქმა უნდა, ვერ შექმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც ძველი საპროცესო კოდექსის მოქმედებისას დამკვიდრდა და არსებობას აგრძელებს ახალი საპროცესო კოდექსის პირობებშიც,²⁵ საინტერესოა მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად დასაშვებია, ზოგადად, ერთი ინ-

²⁵ საქმეების უმრავლესობაში, რომლებზეც საიას ადვოკატებს ხელი მიუწვდებოდათ, ჩხრეკის ჩატარების საფუძველს წარმოადგენდა პოლიციელის პატაკი.

ფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარება და რა ხარისხის სტანდარტია საჭირო ჩხრეკის ჩასატარებლად.

- **ევროპული სასამართლოს მიდგომა**

როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს, ყოველთვის მსჯელობს იმაზე, იყო თუ არა ჩხრეკის ჩატარება გამოყენებული, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პროპორციული და საფუძველიანი.

საინტერესო საქმეს წარმოადგენს Keegan v. United Kingdom,²⁶ სადაც სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, პოლიციის მიერ განხორციელებულ ჩხრეკას, რომელიც სასამართლოს მიერ იყო ნებადართული, საფუძველად ედო თუ არა ნამდვილად ჭეშმარიტი რწმენა იმისა, რომ ჩხრეკა იყო აუცილებელი.

ამ საქმეში,²⁷ ერთი შეხედვით, პოლიციამ თითქოს ყველა ზომას მიმართა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მოცემულ მისამართზე მართლაც სავარაუდო დამნაშავე ცხოვრობდა. შესაბამისად, შესაძლებელია, პოლიციას ჰქონოდა დასაბუთებული ვარაუდი (არაერთი ინფორმაცია და ფაქტი მიუთითებდა ამის შესახებ). თუმცა, ევროპულმა სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილებით, საწინააღმდეგო დაადგინა.

²⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Keegan v. United Kingdom, №28867/03, 18 ივლისი, 2006 წელი.

²⁷ საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: განმცხადებლებმა იქირავეს სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ლივერპულის ქალაქის საბჭოს. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი 6 თვის განმავლობაში იყო თავისუფალი, ხოლო წინა მფლობელი იყო ანიტა დე ლა კრუზი. ამ პერიოდში განხორციელდა ძარცვის არაერთი ფაქტი, სადაც პოლიციის მიერ ერთ-ერთი ეჭმიტანილი იყო დინ დე ლა კრუზი, ანიტა დე ლა კრუზის შვილი. პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ დინ დე ლა კრუზი ზშირად იძლეოდა იმ სახლის მისამართს, სადაც განმცხადებლების ოჯახი ცხოვრობდა; მისი ნერწყვი, რომელიც აღებულ იქნა ძარცვის შემდეგ მიტოვებულ მანქანაში დარჩენილი მოსასხამიდან, შეესაბამებოდა ანიტა დე ლა კრუზისას და ეს უკანასკნელი კი ამომრჩეველთა სიაში ასევე რეგისტრირებული იყო ზემოთ მითითებულ მისამართზე. პოლიციამ ამ ფაქტების საფუძველზე დაასკვნა, რომ ამ სახლში ერთ-ერთი მძარცველი ცხოვრობდა და აქვე ნაძარცვიც უნდა ყოფილიყო შენახული. აღნიშნულის საფუძველზე, პოლიციამ მიმართა სასამართლოს და გამოითხოვა სახლის ჩხრეკის ორდერი.

სასამართლომ განაცხადა: „ის ფაქტი, რომ პოლიცია არ მოქმედებს ბოროტი განზრახვით, არ არის გადამწყვეტი მისი ქმედების გასამართლებლად კონვენციის თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციას ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ეს წინასწარ მოტივირებულია თუ შემთხვევით გამონეული.²⁸ სასამართლო ვერ დაეთანხმება იმას, რომ ზიანის დასადგენად აუცილებელია ბოროტი განზრახვის არსებობა იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების სასიცოცხლო ფუნქცია.“

საბოლოო ჯამში, სასამართლომ აღინიშნა, რომ კონვენციის განსაზღვრებით, შესაძლოა ყოფილიყო ჩხრეკის რელევანტური მიზეზები, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც პოლიცია დაეყრდნო შეცდომას, რომლის აღმოფხვრის აუცილებლობა და შესაძლებლობა არსებობდა და უნდა ყოფილიყო კიდევ აღმოფხვრილი სათანადო წინაპირობების დაცვით, მათი ეს ქმედება ვერ ჩაითვლებოდა საკმარის საფუძვლად.²⁹ პოლიციის ქმედება კი, რომელმაც გამოიწვია განმცხადებლების საფუძვლიანი შიში და შეშფოთება, არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულად მხოლოდ იმიტომ, რომ მას ბოროტი განზრახვა არ ამოძრავებდა.³⁰

ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, ეჭვის (ვარაუდის) საფუძვლიანობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი არის მისი სანდოობა და *Bona fide*.³¹ თუმცა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია, ასევე, გონივრული ვარაუდი, რომელიც გამომდინარეობს დამატებითი ფაქტებიდან, რაც უშუალოდ დანაშაულს უკავშირდება.³² მსგავსი მიდგომა ბრინეგარის საქმეში ჩამოაყალიბა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ: საფუძვლიანი ეჭვი სახეზეა მაშინ, როდესაც ფაქტები და გარემოებები, რომელთა თაობაზეც სამართალდამცავ პირს აქვს გონივრულად სარწმუნო ინფორმაცია, არის თავისთავად საკმარისი,

²⁸ იხ. Keegan v. United Kingdom, §34.

²⁹ იხ. Keegan v. United Kingdom, §32.

³⁰ იხ. Keegan v. United Kingdom.

³¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Murray v. United Kingdom, № 14310/88, 30 აგვისტო, 1990, §61.

³² იხ. იქვე, მოსამართლეების განხილვებულ მოსაზრება (Uizou, Morenilla, Makarczyk), §3.

რათა გონივრულად წინდახედულმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი, ან სჩადიან.³³

ევროპული სასამართლო თავის საქმეებში ყურადღებას ამახვილებს ჩარევის პროპორციულობის საკითხზეც. საქმეში *Niemietz v. Germany*,³⁴ ადამიანის უფლებათა სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად ზომიერი იყო განმცხადებლის ოფისში განხორციელებული ჩხრეკის ფარგლები.

საქმე მდგომარეობდა შემდეგში: პოლიციის მიერ ჩხრეკა ჩატარდა იურიდიულ ფირმაში, რომელიც ეკუთვნოდა განმცხადებელს სხვა იურისტთან ერთად.³⁵ ჩხრეკის შედეგად პოლიციას, სავარაუდოდ, უნდა ამოელო მოსამართლისადმი მიწერილი შეურაცხმყოფელი წერილი – დანაშაულის საგანი, რომელიც, სავარაუდოდ, აღნიშნული ოფისიდან გაიგზავნა. სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხრეკის ორდერი გამოცემული იყო ფართო მნიშვნელობით, ჩხრეკის ჩატარების ნებართვა გაცემული იყო დოკუმენტების მოსაძებნად და ამოსაღებად, დანაშაულებრივი წერილის ავტორის იდენტიფიცირების მიზნით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამ საკითხს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩატარებულმა ჩხრეკამ, რომლითაც დოკუმენტები შემოწმდა, დააზიანა პროფესიული საიდუმლოება იმ მასშტაბით, რომელიც არაპროპორციულია მოცემულ გარემოებებში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც საქმეში ჩართულია იურისტი, პროფესიული საიდუმლოების ხელყოფამ შეიძლება გავლენა იქონიოს შემდგომში მართლმსაჯულების სათანადოდ უზრუნველყოფასა და, აქედან გამომდინარე, უფლებებზე, რომლებიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, არსებულ საჯაროობას, შესაძლოა, საზიანოდ ემოქმედა განმცხადებლის პროფესიულ რეპუტაციაზე როგორც მის კლიენტებს შორის, ისე საზოგადოებაში.³⁶

³³ *Brinegar v. United States*, 338 US 160, 68 S. CT. 1302 (1949) – ციტირებულია სტატიიდან: დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ლალი ფაფიაშვილი, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2010 წ. გვ. 174.

³⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Niemietz v. Germany*, №13710/88, 16 დეკემბერი, 1992 წელი.

³⁵ საქმე *Niemietz v. Germany*. ფაქტობრივ გარემოებებზე დაწვრილებით, §§6-16.

³⁶ საქმე *Niemietz v. Germany*.

ამ გადანყვეტილებით ნათელი ხდება, რომ, მიუხედავად ჩხრეკის ჩატარების ყველა საფუძვლის არსებობისა, თუ ჩატარებულ ჩხრეკა არ არის პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მაშინ საქმე გვაქვს პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვასთან. სასამართლოს გადანყვეტილებით თვალსაჩინო გახდა, თუ რა შეიძლება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული – საჯაროობა იმ მასშტაბით, რომელიც პირის (მითუმეტეს, რომელიც არ არის ექვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში) პროფესიულ რეპუტაციას ზიანს აყენებს. განხილულ საქმეში საჯაროობაში მოიაზრებოდა იურისტის დოკუმენტების შემოწმება სამართალდამცავების მიერ შეუზღუდავი უფლებამოსილებით, რომელიც მათ ორდერით ჰქონდათ მინიჭებული. სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ჩხრეკის ორდერით ზუსტად და გონივრული შეზღუდვით იქნებოდა განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რა დოკუმენტები უნდა შეემოწმებინათ სამართალდამცავებს ჩხრეკის დროს, პროპორციულობა დაცული იქნებოდა.³⁷

ზემოაღნიშნული პრეცედენტების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი სტანდარტი:

- ჩხრეკის ჩატარებას წინ უნდა უძღვოდეს პოლიციის მიერ განხორციელებული ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა გამოირიცხოს შეცდომა ჩხრეკის ობიექტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით. სუბიექტურ მხარეზე – ბოროტი განზრახვის არსებობაზე – არ არის დამოკიდებული იმის განსაზღვრა, შეცდომით ჩატარებულმა ჩხრეკამ გაუმართლებლად შეზღუდა თუ არა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. აღნიშნული დამოკიდებულება ობიექტურ მხარეზე, თუ რამდენად მიმართა პოლიციამ ყველა შესაძლო ზომას ჩხრეკის ჩატარებამდე, გადაემოწმებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოცემულ ადგილას მოცემული საგნის არსებობის შესახებ, რათა შეცდომის დაშვების რისკი მინიმუმამდე დაეყვანა.
- ჩხრეკის ღონისძიება გონივრულად უნდა შეიზღუდოს სხვადასხვა ფაქტორით, რათა დაცული იყოს პირად ცხოვრე-

³⁷ *inter alia*, იხ. ადამიანის უფლებათა ეროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე: *Camenzind v. Switzerland*, №136/1996/755/954, 16 დეკემბერი, 1997 წელი, §46.

ბაში ჩარევის პროპორციულობა. ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს ჩხრევის საფუძვლებისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჩხრევის ლეგიტიმური საფუძვლების არსებობის პირობებშიც, თუკი დაცული არ იქნება ჩარევის პროპორციულობა.

რეკომენდაციები

სამართალდამცავმა ორგანოებმა თითოეული საქმის წარმოების დროს ჩხრევის ჩატარების წინ უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები:

- ჩხრევის ჩატარებამდე

ჩხრევა უნდა განხორციელდეს სანდო და *bona fide* საფუძვლებით. მას წინ უნდა უძღვოდეს პოლიციის მიერ გატარებული ყველა შესაძლო ღონისძიება, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ჩხრევის დროს შეცდომის დაშვების რისკი.

- ჩხრევის ჩატარების დროს

ჩხრევის ჩატარების დროს პოლიციის მიერ მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული პროპორციულობა, კერძოდ, ჩხრევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მასშტაბით, რაც საჭიროა გამოძიებისათვის საინტერესო ნივთის აღმოსაჩენად. თითოეულ საქმეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი უნდა მიუდგეს ინდივიდუალურად და, ამავე დროს, იმ შეგნებით, რომ ჩხრევა ტარდება, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ეს ღონისძიება უნდა განახორციელოს იმგვარი სიფრთხილით, რომ არ გადააჭარბოს ჩარევისათვის დადგენილ ზღვარს.

2.3. დამცავი გარანტიები ცალკეული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოძიების დროს ითვალისწინებს ისეთ საგამოძიებო მოქმედებებსაც, რომელსაც ინდივიდის უფლების შემზღვევადი ხასიათი გააჩნია. ასეთ საგამოძიებო მოქმედებათა შორისაა: ყადაღის დადება, ჩხრევა, ამოღება.

როდესაც კანონი განსაზღვრავს საჯარო ინტერესის – დანაშაულთან ბრძოლის სასარგებლოდ ინდივიდის უფლების შემზღვევას, ამასთანავე, ადგენს გარკვეულ გარანტიებს, რათა შეზღუდვა იყოს პროპორციული და ლეგიტიმური.

ინდივიდის დამცავ გარანტიებს წარმოადგენს მისი უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საპროცესო კანონით. ინდივიდის დამცავ გარანტს სხვა და სხვა შემთხვევაში წარმოადგენს სხვა და სხვა უფლება, იმის მიხედვით, თუ რა სახისაა შეზღუდვა.

• ყადაღა

სსსკ-ის თანახმად, ყადაღა შესაძლოა დაედოს ქონებას მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად.³⁸ ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს გარკვეული მონაცემების არსებობისას.³⁹

ქონებაზე ყადაღის დადების სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს ის, რომ ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს ან მფლობელს ეკრძალება ქონების განკარგვა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობა.⁴⁰ შესაბამისად, ხორციელდება ინდივიდის საკუთრების უფლების შეზღუდვა, რომელიც ინდივიდის გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს, როგორც საქართველოს კონსტიტუციით,⁴¹ ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით.⁴²

წარმოადგენს რა ინდივიდის უფლების შეზღუდვას ყადაღის დადება, ინდივიდს კანონი უნდა ანიჭებდეს გარკვეულ გარანტიებს, რათა ამ უფლების შეზღუდვა არ გასცდეს ლეგიტიმური შეზღუდვის ფარგლებს. საქართველოს საკონსტიტუციო სა-

³⁸ სსსკ-ის 151-ე მუხლი.

³⁹ როდესაც არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადაამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

⁴⁰ სსსკ-ის 152-ე მუხლი.

⁴¹ სსსკ-ის 21-ე მუხლი.

⁴² სსსკ-ის პირველი მუხლი.

სამართლო თავის გადანყვეტილებაში ადგენს, რომ „კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. უფლება ვერ იქნება პირის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტი, ის იქნება თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა.“⁴³ ამ მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების უფლება თეორიული და ფიქციური იქნება, თუ მისი შეზღუდვის დროს ინდივიდს არ ექნება, მინიმუმ, ყადაღის შესახებ გადანყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ზემოაღნიშნული აზრი გამყარებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა გადანყვეტილებაშიც: „უფლებების არსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მათი ცნობა, პირველ რიგში, გულისხმობს მათი, როგორც ყოველი ადამიანის თანმდევი სიკეთის აღიარების ვალდებულებას. დაცვა კი გულისხმობს ამ უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფელი ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, მათ შორის, ამ უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის ჩათვლით.“⁴⁴

სსსკ-ის თანახმად, ყადაღა შეიძლება დაედოს როგორც ბრალდებულის, ისე სხვა პირის ქონებას, რომელიც არ არის ბრალდებული.⁴⁵ ამათგან, გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ ბრალდებულს. გასაჩივრება მას შეუძლია 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრების ვადა აითვლება განჩინების გაცემიდან ან აღსრულებიდან.⁴⁶

ა) ბრალდებული

საპროცესო კოდექსი სრულ გარანტიებს არ უზრუნველყოფს არც ბრალდებულისთვის, რომელსაც აქვს გასაჩივრების უფლე-

⁴³ 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადანყვეტილება, II, პ. 1.

⁴⁴ 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადანყვეტილება, II, პ. 3

⁴⁵ სსსკ-ის 151-ე მუხლი.

⁴⁶ სსსკ-ის 156-ე და 207-ე მუხლი.

ბა და არც სხვა პირისთვის, რომელსაც არ აქვს ბრალდებული სტატუსი და რომელსაც საერთოდ არ გააჩნია გასაჩივრების უფლება.

ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ ბრალდებულს, რომელიც გასაჩივრების ვადითაა შეზღუდული, არ ატყობინებს გამოძიება ყადაღის დადების შესახებ განჩინების გამოტანას და მას არ გადაეცემა ასლი. ამ ფონზე, როდესაც ბრალდებულმა არ იცის შესაბამისი გადანყვეტილების არსებობის შესახებ, იგი მითითებულ ვადაში ვერ გაასაჩივრებს გადანყვეტილებას, შესაბამისად, იგი დამცავი გარანტიით არ არის უზრუნველყოფილი მისი საკუთრების უფლების შეზღუდვის დროს.

ზემოაღნიშნული ხარვეზი შეტყობინების ვალდებულების არარსებობასთან დაკავშირებით, ბრალდებულის, ისევე როგორც ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის მიმართ, სხვა სახის პრობლემასაც წარმოშობს: როდესაც პირმა არ იცის მისი ქონების მიმართ ყადაღის არსებობის შესახებ, მან, შესაძლოა, ამ ქონების უზრუნველყოფით (მაგალითად, საბანკო ანგარიშების დაყადაღების შემთხვევაში) კონკრეტული ფინანსური ვალდებულებები აიღოს, რაც მის, ისევე როგორც კრედიტორის მიმართ ქონებრივ ზიანს წარმოშობს. აღნიშნულით პირის მიერ ქონების გონივრულად განკარგვის შესაძლებლობა არსებითად იზღუდება.

ბ) პროცესის სხვა მონაწილე

ბრალდებულისგან განსხვავებით, პირი, რომელიც არ არის ბრალდებული, მაგრამ მის ქონებას დაედო ყადაღა, ვერ გასაჩივრებს აღნიშნულ გადანყვეტილებას სასამართლოში, ვინაიდან იგი არ არის პროცესის მხარე. ე.ი იგი თავისი საკუთრების უფლების დასაცავად ვერ მიმართავს სასამართლოს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ამ უფლების ფარგლებში, თავის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „კანონმდებელი ვალდებულია, დაადგინოს გასაჩივრების ისეთი მექანიზმი და შესაძლებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის პრინციპთან. ამასთან, სასამართლო კოლეგიას ცალსახად მიაჩნია, რომ პირი სასამართლოს გადანყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სა-

სამართლოში გასაჩივრებით რეალიზაციას უკეთებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.⁴⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულით ცხადი ხდება, რომ საკუთრების უფლება კანონმდებლობით არ არის სრულად გარანტირებული, ვინაიდან ერთ შემთხვევაში (ბრალდებული) გასაჩივრების სრული შესაძლებლობა და მეორე შემთხვევაში (პირი, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის სტატუსი) – სასამართლოსთვის მიმართვის უფლება სრულიად წართმეული აქვს ინდივიდს. ყოველივე აღნიშნულით კი, მივდივართ დასკვნამდე, რომ იგნორირებულია სამართლიანი დაცვის ეფექტურად განხორციელების კონვენციით აღიარებული უფლება.⁴⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-13 მუხლი ინტერპრეტირებული უნდა იქნეს, როგორც ინდივიდის სამართლიანი დაცვის გარანტი ეროვნული ხელისუფლების წინაშე, რომელიც მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციით აღიარებული მისი უფლება ან თავისუფლება.⁴⁹ აღნიშნული მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს პირდაპირ ვალდებულებას, დაიცვან ადამიანის უფლებები და ვალდებულებები უპირველეს ყოვლისა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.⁵⁰ შესაბამისად, მე-13 მუხლის შედეგია ის, რომ კონვენციამ მოსთხოვოს ეფექტიანი დაცვის შიდა საშუალების არსებობა კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს, როგორც შესაბამისი სარჩელის განხილვის, ისე შესაბამისი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.⁵¹ სამართლიანი დაცვის საშუალება ეფექტიანი უნდა იყოს როგორც პრაქტიკაში, ისე კანონით, განსაკუთრებით იმ გაგებით, რომ მისი აღსრულება გაუმართლებლად არ უნდა დაბრკოლდეს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული მოქმედებით ან უმოქმედობით.⁵²

⁴⁷ 2004 წლის 21 დეკემბრის №2/6/264 გადაწყვეტილება, I, პ. 31

⁴⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი.

⁴⁹ Klass and Others v. Germany, Series A, No. 28, 6.9.78, para.64. Cited from the book: Philip Leach, Taking a Case to the European Court of Human Rights, p.393

⁵⁰ Kudla v. Poland, No. 30210/96, 26.10.00, para. 152. Ibid. p.394

⁵¹ Ibid. p.394

⁵² Aksoy v. Turkey, No. 21987/93, 18.12.96, para 95. Ibid. 394

მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების სამართლიანი დაცვა კანონით ეფექტურად არ არის უზრუნველყოფილი, რადგან შეიცავს ზემოთ მითითებულ ხარვეზებს და ამით არსებითად აბრკოლებს მის აღსრულებას. აღნიშნულის გამო, შესაბამისი ნორმა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან, რომლის თანახმადაც, საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია.

• ჩხრეკა და ამოღება

ჩხრეკა და ამოღება ასევე წარმოადგენს ინდივიდის შემზღუდავ საგამოძიებო მოქმედებებს, კერძოდ, იზღუდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა: „...ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.“⁵³ შესაბამისად, მასზეც ზუსტად ისეთი რეჟიმი უნდა გავრცელდეს, როგორც ყადაღის დადების დროს – საპროცესო კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს იმავე სახის გარანტიებს, როგორც ყადაღის დადების შემთხვევაში.

ყადაღისგან განსხვავებით, ჩხრეკისა და ამოღების დროს დამცავი გარანტიის პრობლემა დგას მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც არ გააჩნია ბრალდებულის სტატუსი. საქმე ის არის, რომ აღნიშნულ პირს არ აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მისთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვის კანონიერების შესამოწმებლად.⁵⁴

რეკომენდაციები

- გასაჩივრების უფლების სრული უზრუნველყოფა

ყადაღის შესახებ გადამწყვეტილების მიღების დროს ბრალდებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამის შესახებ, რათა საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადაში მას შესაძლებლობა ჰქონდეს, სასამართლოს მეშვეობით შეამოწმოს მისი კანონიერება გასაჩივრების გზით.

⁵³ სსსკ-ის 119-ე მუხლი.

⁵⁴ სსსკ-ის 112-ე, 207-ე მუხლები.

- გასაჩივრების შესაძლებლობა იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის სტატუსი

ყადაღის, ჩხრეკის და ამოღების დროს, პირს, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის სტატუსი და რომლის მიმართაც განხორციელდა ზემოაღნიშნული მოქმედებები, უნდა მიეცეს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ამ მოქმედებათა კანონიერების შემოწმების მიზნით.

2.4. მოწვევა დაკითხვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრული თანასწორობის პრინციპს ემყარება.⁵⁵ აღნიშნული ნიშნავს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის, მტკიცებულებათა შეკრების დროს.

თუმცა, ამ საკითხთან მიმართებით წინააღმდეგობრივია საპროცესო კოდექსის გარდამავალ დებულებაში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა ხორციელდება 1998 წლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად.⁵⁶ აღნიშნული დებულება, რომელიც გარდამავალ ეტაპზე მოწმის დაკითხვის წესს არეგულირებს, წარმოშობს უთანასწორობას დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის.

2009 წლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ახალი რეგულირების ამოქმედება პირდაპირაა დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფასთან. ამიტომაც, გარდამავალი დებულებით ძველი საპროცესო კოდექსის მოქმედების გაგრძელება მოწმის დაკითხვის პროცესზე ამ ურთიერთკავშირის ფონზე უნდა იქნეს შეფასებული.

ძველ და ახალ საპროცესო კოდექსებს შორის, მონმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებული სხვაობა კონცეპტუალურია და დიდწილად გამომდინარეობს მათ შორის არსებული ფუნდამენტური სხვაობებიდან. 1998 წლის კოდექსის მიხედვით, პირს აქვს

⁵⁵ სსსკ-ის მე-9 მუხლი.

⁵⁶ სსსკ-ის 332-ე მუხლი.

ვალდებულება, გამოძიების წინაშე მისცეს ჩვენება.⁵⁷ მას არ აქვს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

ახალი საპროცესო კოდექსი გამოძიების ეტაპზე დაკითხვის სრულიად განსხვავებულ წესს ითვალისწინებს. მათ შორის, შემოაქვს პირის გამოკითხვის ცნება, რაც გულისხმობს, პირის მიერ მისთვის ცნობილი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას მხარეებისთვის, მისი სურვილის შემთხვევაში.⁵⁸ კოდექსი მიუთითებს, რომ დაუშვებელია პირის იძულება, გასცეს ინფორმაცია. რაც შეეხება გამოძიების ეტაპზე პირის დაკითხვის წესს, ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაგისტრადი მოსამართლის წინაშე, მხარის შუამდგომლობით და კანონით დადგენილ შემთხვევებში. ასეთ დროს პირი ვალდებულია, მაგისტრადი მოსამართლის წინაშე მისცეს ჩვენება. თუმცა, კოდექსი ითვალისწინებს, რომ დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით, რაც გულისხმობს მონაწილეობას მხარის შესაძლებლობას, თავიდანვე მოახდინოს მისი ლეგიტიმური ინტერესის განხორციელება, რაც მოწმესთან შეწინააღმდეგებაში გამოიხატება.⁵⁹

ძველი წესით პირის გამოძიების ეტაპზე დაკითხვისას კი, დაცვის მხარე მოკლებულია ამგვარ შესაძლებლობას. მას არ აქვს საშუალება, მონაწილეობდეს დაკითხვის პროცესში და დაუსვას მოწმეს კითხვები, რაც, რა თქმა უნდა, თანაბარ პირობებში არ აყენებს დაცვასა და ბრალდებას.

მათ პოზიციებს შორის მთავარი სხვაობა მდგომარეობს შემდეგში – ბრალდების მხარეს რჩება ბერკეტი, გამოძიების ეტაპზე სავალდებულო წესით მიიღოს ჩვენება მონაწილესგან ისე, რომ ამ პროცესში არ მონაწილეობდეს დაცვის მხარე. დაცვას აღნიშნულის საკომპენსაციოდ არანაირი გარანტია არ რჩება. ეს კი თავისთავად იწვევს ბრალდებისა და დაცვის პოზიციებს შორის უთანასწორობის არსებობას სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზეც. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითო-

⁵⁷ 1998 წლის სსსკ-ის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁵⁸ 2009 წლის სსსკ-ის 113-ე მუხლი.

⁵⁹ 2009 წლის სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ბის პრინციპს სამართალწარმოების პროცესში.⁶⁰ ამ პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია დაცვის მხარის უფლება, მონაწილეობდეს მონმის დაკითხვის პროცესში.

მონმის დაკითხვის წესი და დაცვის მხარის უზრუნველყოფა ამ პროცესში სათანადო მონაწილეობით არ წარმოადგენს უმნიშვნელო პროცესუალურ უფლებას, რომელსაც არ შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს სამართალწარმოებაზე. მხარეთა თანასწორობა, რაც პროცესის ყველა ეტაპზე თანაბარი შესაძლებლობების არსებობაში გამოიხატება, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. ამიტომაც, დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის თანაბარი შესაძლებლობების არსებობის საკითხი სწორედ სამართლიანი სასამართლო უფლებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ფონზე უნდა იქნეს განხილული. ევროპულ სასამართლოს ცალსახად აქვს ნათქვამი, რომ პირის უფლება, დაცვისა და ბრალდების მონმეების დაკითხვა წარიმართოს ერთნაირ პირობებში, სამართლიანი სასამართლო უფლების განუყოფელი ნაწილია.⁶¹

ამ უფლების მნიშვნელობას უსვამს ხაზს ის ფაქტიც, რომ კონვენციის ტექსტი სპეციალურ ჩანაწერს შეიცავს მონმის დაკითხვის წესთან დაკავშირებით. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება ... დააკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მონმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მონმეები ბრალდების მონმეთა თანაბარ პირობებში.“

იმ პირობებში, როდესაც ძველი საპროცესო კოდექსის ნორმის მოქმედების განმავლობაში, ბრალდების მხარეს ენიჭება უპირატესი უფლება, სავალდებულო წესით მოითხოვოს მონმისგან ჩვენების მიცემა ისე, რომ დაცვას არ ჰქონდეს ამ პროცესში მონაწილეობის, მონმისთვის კითხვების დასმის უფლება, რა თქმა უნდა, ვერ იქნება უზრუნველყოფილი დაცვის ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილება. ამ პირობებში კი, ბრალდებას ყოვ-

⁶⁰ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Barbera, Messegue and Jabardo v. Spain, 6 დეკემბერი, 1998, §78.

ელთვის ექნება უპირატესობა დაცვის მხარესთან შედარებით.

დაცვის მხარის უფლებები სხვა მხრივაც შეზღუდულია. მაშინ, როდესაც ბრალდების მხარეს აქვს უფლებამოსილება, სასამართლოში გამოიძახოს და დაკითხოს მისთვის საინტერესო მონმე, ამ პირის სურვილის მიუხედავად, დაცვის მხარე სწორედ მისი სურვილითაა შეზღუდული.

დღევანდელი კანონმდებლობით, გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარეს შეუძლია გამოკითხოს მონმე. მონმის გამოკითხვა მისსავე ნება-სურვილზეა დამოკიდებული. წინასასამართლო სხდომაზე კი, მოსამართლე მონმის დასაკითხ პირთა სიაში შეყვანის აუცილებელ წინაპირობად ზემოაღნიშნულ გამოკითხვას მოითხოვს, რათა დაადგინოს მისი რელევანტურობა და შემხებლობა საქმესთან. თუ დაცვას არ აქვს წარმოდგენილი გამოკითხვის ოქმი იმიტომ, რომ მონმემ მას გამოკითხვაზე უარი განუცხადა, დაცვას აღარ რჩება ამ მონმის სასამართლოში გამოძახების მექანიზმი. ეს კი, ცალსახად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მონმის ძველი წესით დაკითხვის გაგრძელება ხელს შეუწყობს მხარეთა უთანასწორობის მდგომარეობას არსებობას, რაც გამოწვეულია ბრალდების მხარისთვის დამატებითი ბერკეტების მინიჭებით, დაცვის მხარის შეზღუდული უფლებამოსილებების ფონზე.

რეკომენდაციები

- დაცვის მხარესა და ბრალდებას შორის თანასწორობის პრინციპის განმტკიცება მონმის დაკითხვის ეტაპზე


გაუქმდეს გარდამავალი დებულების მოქმედება, რომელიც 1998 წლის საპროცესო კოდექსის ნორმების მოქმედებას ითვალისწინებს მონმეთა დაკითხვის დროს გამოძიების ეტაპზე.

თავი III

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება

წარმოდგენილი ანგარიში მიმოიხილავს აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების ზოგად სურათს. ამასთან, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს პატიმრობა, რომლის გამოყენების ხვედრითი წილი საერთო სტატისტიკაში საკმაოდ მაღალია, ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია სწორედ პატიმრობის გამოყენების ინტენსივობასა და საფუძვლიანობაზე. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი ანგარიშში შეფასებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე ძირითადი საერთაშორისო სტანდარტების ქრილში, რის საფუძველზეც, ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2011 წელს აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების 13 309 შემთხვევიდან პატიმრობა შეფარდებული იქნა 6558 შემთხვევაში (49.3%), 2010 წელს კი – 14 959 შემთხვევიდან 8109 შემთხვევაში (54.2%). დანარჩენ შემთხვევებში გამოყენებული იყო არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები, რომელთაგან ყველაზე ხშირად ხდებოდა გირაოს შეფარდება. 2011 წელს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეფარდებულ იქნა 6726 შემთხვევაში, 2010 წელს კი – 6757 შემთხვევაში.⁶²



⁶² <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/7-arkv11.pdf>

გირაო, მიუხედავად მისი არასაპატიმრო ხასიათისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატიმრო ღონისძიებებთან, ვინაიდან გირაოს შეფარდება შესაძლოა მოხდეს პატიმრობის უზრუნველყოფით.⁶³ ამასთან, გირაოს გადაუხდელობამ შეიძლება გამოიწვიოს პირისთვის უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, კერძოდ პატიმრობის შეფარდება.⁶⁴ აღნიშნული კი შეიძლება მოტივირებული იყოს გირაოს სახით არაგონივრულად დიდი თანხის ან გირაოს თანხის გადახდისთვის მცირე დროის შეფარდებით. შესაბამისად, მოცემული ანგარიშის ფარგლებში, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების და, კერძოდ, გირაოს შეფარდების შესაძლებლობა განხილულია სწორედ ამ უკანასკნელსა და პატიმრობას შორის არსებული ურთიერთკავშირის ფონზე.

- **აღკვეთის ღონისძიების რეგულირება შიდა კანონმდებლობაში**

საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვამდე უნდა გამოიყოს დაცვის ის გარანტიები, რომლებიც პირს ეროვნული კანონმდებლობით გააჩნია. უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეზღუდვა კანონით მკაცრად განერილი მიზნებითა და საფუძვლებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას აქვს შემდეგი მიზნები: ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა, ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა. რაც შეეხება საფუძვლებს, საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, მათ შორის, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ:

- ბრალდებული მიიმალება;
- არ გამოცხადდება სასამართლოში;
- გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს;
- ჩაიდენს ახალ დანაშაულს.⁶⁵

⁶³ სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი.

⁶⁴ სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილი.

⁶⁵ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სახეზე უნდა იყოს სწორედ აღნიშნული საფუძვლებიდან რომელიმე. ამასთან, მათი არსებობის შესახებ უნდა არსებობდეს მინიმუმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც, თავის მხრივ, სათანადო, რელევანტური ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობას მოითხოვს.

კიდევ ერთ კანონისმიერ გარანტიას წარმოადგენს პროკურორის შეზღუდვა აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევისას. ამასთან, ამ ნაწილში კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს სრულად ბრალდების მხარეს აკისრებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.⁶⁶ გარდა ამისა, კოდექსის მიხედვით, პატიმრობის ან სხვა აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებით ანალოგიური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ბრალდების მხარის ვალდებულებაა, დაასაბუთოს, რატომ არის საჭირო, ზოგადად, აღკვეთის ღონისძიებისა და, კონკრეტულად, აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენება.⁶⁷

რაც შეეხება სასამართლოს როლს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ის ვალდებულია, გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ან/და ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და ა.შ.⁶⁸

კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების და მისი ცალკეული სახის გამოყენებას მიზანშეწონილობისა და პროპორციულობის საკითხის შეფასებას უკავშირებს და აღნიშნულით ცდილობს

⁶⁶ სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

⁶⁷ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁶⁸ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

პირის თავისუფლების სასარგებლოდ არსებული პრეზუმფციის გამყარებას. აღნიშნული საკითხების გააზრება კი, თავის მხრივ, მოითხოვს საფრთხეების, საქმის ვითარებისა და ბრალდებულის პიროვნების ინდივიდუალურად შეფასებას, ცალკეული საქმეებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თითოეულ საფუძველს თავისი დამოუკიდებელი დასაბუთება უნდა გააჩნდეს. მაგალითად:

- **პირის მიმალვის საფრთხე** – შეუძლებელია აღნიშნული საფრთხის აბსტრაქტულად არსებობა, თუკი მის რეალურობას კონკრეტული გარემოებები არ განაპირობებს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის მიმალვის საფრთხის შეფასებისას მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც პიროვნების ხასიათის თავისებურებები, ისე საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი. ამასთან, უნდა შეფასდეს, სასჯელის სიმძიმემ შეიძლება თუ არა წარმოშვას მიმალვის სურვილი და ამასთან, იმ ობიექტური გარემოებების არსებობა, რამაც შეიძლება სისრულეში მოიყვანოს ბრალდებულის ასეთი სურვილი.
- ამის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „{ბრალდებულის} ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუწევს მიმალვის შემთხვევაში; ოჯახური მდგომარეობა და კავშირები; ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ; მოსალოდნელი განაჩენის სიმკაცრე; ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებული პირობები; ბრალდებულის მჭიდრო კონტაქტები მისი დაკავების ქვეყანაში; გარანტიების ხარისხი, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის სასამართლოში გამოცხადება და ა.შ.“⁶⁹
- **პირის სასამართლოში გამოუცხადებლობის საფრთხე**
– საფრთხის დასაბუთებისას მხედველობაში უნდა იქნეს

⁶⁹ იხ. Letellier v. France, 26 June, 1991; Yagci and Sargin v. Turkey, 8 June, 1995. ციტირებულია სტატიიდან: დაკავების და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ლალი ფაფიაშვილი, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2010 წელი, გვ. 176-177.

მიღებული ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები. უნდა შეფასდეს პირის დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემასთან, წინა პერიოდის ურთიერთობები საგამოძიებო თუ საქმის განმხილველ სხვა უწყებებთან. მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება მიექცეს პირის საკუთარი ინიციატივით გამოცხადებას სამართალდამცავ ორგანოში, ასევე, ყველა სხვა ფაქტობრივ გარემოებას (გამოუცხადებლობის/კომუნიკაციის გაძნელების ფაქტები) და წარსულ გამოცდილებას, რაც ამყარებს ან გამოორიცხავს ასეთი საფრთხის რეალურობას.

- **მტკიცებულებების განადგურების ან მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხე** – ცალსახაა, რომ ამგვარი საფრთხე არ შეიძლება რელევანტური იყოს პროცესის წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე, მხედველობაშია მისაღები კონკრეტული საქმის მახასიათებლები და ფაქტობრივი გარემოებები. მაგალითად, თუკი მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების მიზნით, ამ შემთხვევაში, შესაძლოა მომეტებული იყოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზემოქმედების საფრთხე. თუმცა, სხვა შემთხვევებში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საქმის განხილვისას საგამოძიებო მოქმედებების უმეტესობა ჩატარებულია, ასეთი საფრთხე აღარ არსებობს.⁷⁰ მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარემ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთოს ბრალდებულის შესაძლებლობა (და არა მხოლოდ შესაძლო განზრახვა ან სურვილი), გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე. ასევე, აღნიშნული საფუძვლით აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას, მითითება უნდა გაკეთდეს იმ საპროცესო ღონისძიებებზე, რომელთა ჩატარებასაც შეიძლება საფრთხე შეექმნას.
- **ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება** – ცალკეულ შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად ბრალდება უთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მოტივს. აქ იგულისხმება როგორც უკვე ჩადენილი დანაშაულის განმეორებით ჩადენა, ისე სხვა ტიპის დანაშაულის ჩადენა. ამ შემთხვევაშიც,

⁷⁰ იქვე, გვ. 176.

აღნიშნული საფრთხე უნდა შეფასდეს საქმის გარემოებათა ერთობლიობის ტესტით. მათ შორის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: პირის ნასამართლობა, მისი მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია, ცალკე აღებული თითოეული მათგანი მაინც არასაკმარისი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ დასაბუთებულ ვარაუდს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გვაძლევს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობა, სადაც მაქსიმალურად არის წარმოჩენილი ფაქტები და ინფორმაცია, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ შესაძლოა არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან ერთ-ერთი მაინც.

თუმცა, გარდა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის/გარდაუვალობისა აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა. მოცემული კვლევის მიზნებისთვის, პროპორციულობის ტესტი განხილულია საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებით.

- **კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა**

ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის პროპორციულობა წარმოადგენს ბრალდების მხარის მტკიცების კიდევ ერთ საგანს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეული იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღკვეთის სახის პროპორციულობის შეფასების საკითხი დგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზოგადად მიჩნეული იქნება, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიება.

პროპორციულობის დაცვის მიზნებისთვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გვთავაზობს ალტერნატიული სახის აღკვეთის ღონისძიებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან სიმკაცრის მიხედვით განსხვავდება. ამასთან, საპროცესო კოდექსი ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს, რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და, ამასთან, რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვანაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.⁷¹ ეს უკანასკნელი, აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობის შეფასებას უკავშირდება.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, „დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნეს საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნეს მიმართული დასჯის მიზნებისათვის.“⁷² ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისთვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. ამ უკანასკნელთან მიმართებით კანონმდებლობა მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, პატიმრობა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია.⁷³

- **გადასინჯვა**

განსხვავებით ზემოთ განხილული გარანტიებისგან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა ეროვნულ კანონმდებლობაში საკმაოდ პრობლემური და სადავოა. საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის უფლებამოსილებას, შუამდგომლობით მიმართოს მაგის-

⁷¹ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁷² Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial, para.1

⁷³ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ტრატ მოსამართლეს და მოითხოვოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება.

საპროცესო კოდექსი შეიცავს იმპერატიულ მოთხოვნას, რომ შუამდგომლობაში მითითებულ იქნეს იმ ახალი გარემოებების შესახებ, რაც ცნობილი არ იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას. სასამართლო შუამდგომლობის შეტანიდან 24 საათში ამონმებს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, რაც ასევე გულისხმობს მის ფორმალურ შესაბამისობას საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან, მათ შორის, ახალი გარემოების წარდგენის ნაწილშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილია, დაუშვებლად ცნოს შუამდგომლობა იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ შეძლებს ახალი გარემოების წარდგენას. მსგავსი ფორმალისტური მიდგომა გავლენას ახდენს პირის უფლებაზე, გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია, ეს უფლება იყოს ქმედითი და რეალური იმისათვის, რათა პირმა შეეძლოს მისი ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილება მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის გზით. ახალი გარემოების წარდგენის ვალდებულების შემოტანა, რასაკვირველია, ფიქციურს ხდის ამ უფლებას, თუკი მხარეს არ აქვს არანაირი ახალი გარემოება და, ამასთან, დავობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის, მიზანშეწონილობის ან პროპორციულობის ნაწილში. ამ შემთხვევაში, პირს არ სჭირდება მისთვის სასარგებლო ახალი არგუმენტაციის წარდგენა. მისთვის მნიშვნელოვანია, მოხდეს ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ უკვე წარდგენილი არგუმენტაციების შეფასების რევიზია. კანონმდებელი კი, სრულიად დაუსაბუთებლად ზღუდავს პირის ამ უფლებას ახალი გარემოებების წარდგენის ვალდებულების დაკისრებით.

აღსანიშნავია, რომ აპელაციის უფლება განმტკიცებულია ევროპული კონვენციითაც, რომელიც მოითხოვს, რომ პირს ჰქონდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობა. რასაკვირველია, ეს უფლებაც, ისევე როგორც კონვენციით გათვალისწინებული ყველა სხვა გარანტია, მოითხოვს, რომ მათი გამოყენება იყოს რეალური და არა – ილუზორული.⁷⁴ აღკვეთის ღონისძიებების გასაჩივრებას-

⁷⁴ ამ საკითხზე ევროპული კონვენციის გარანტიების ნაწილშიც იქნება საუბარი

თან დაკავშირებით, პრაქტიკულ პრობლემას ქმნის კანონის ის ჩანაწერიც, რომელიც მოითხოვს, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიმართოს მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობით, რაც ამ უკანასკნელის მხრიდან შუამდგომლობის ხელმოწერაში უნდა გამოიხატოს. აღნიშნული ჩანაწერი დამატებითი ბარიერია გასაჩივრების უფლებით ეფექტური სარგებლობისთვის.

- **ევროპული სასამართლოს მიდგომა აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით**

საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების ეროვნულ დონეზე რეგულირების შეფასების საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ტექსტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“ და, მეორე მხრივ – ევროპული სასამართლოს განმარტებები, რომლებმაც უფრო ცხადი გახადა პირის თავისუფლებაში ჩარევის შინაარსი და ფარგლები.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისთვის დაწესებული უპირველესი ვალდებულება ცხადად არის მოცემული მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, ზემოთ ხსენებული საფუძვლებით დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ამასთან, გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება განხილულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და, მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. შესაბამისად, მხოლოდ ეჭვის არსებობა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ ვერ გადაწონის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას, სანამ უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება

დადასტურებული თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდაუვალობა.

ევროპულმა სასამართლომ ცხადად განმარტა, რომ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე თავისთავად არ ამართლებს პირის ხანგრძლივ პატიმრობას.⁷⁵ ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ პატიმრობის გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში მოხდება.⁷⁶

სასამართლოს მსგავსი განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობს აბსტრაქტული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება წარმოშვას პირის პატიმრობის საჭიროება. ამასთან, შეიძლება საფრთხეები არ იყოს რეალური და მყისიერი პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში. თუკი ასეთი საფრთხე არსებობს, მისი რეალურობა და მყისიერება დამონმებული უნდა იყოს კონკრეტულად აღქმადი, დამაჯერებელი და რელევანტური გარემოებებით. გარდა ამისა, საფრთხეების განეიტრალებასთან ერთად, უნდა არსებობდეს პატიმრობის უპირობოდ შეწყვეტის შესაძლებლობა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხე (რაც პირის პატიმრობის გამამართლებელი ერთ-ერთი გარემოება შეიძლება იყოს) აღარ არსებობს იმ ეტაპზე, როდესაც მტკიცებულებები შეკრებილია.⁷⁷ სასამართლოს მსგავსი მიდგომა მიუთითებს პატიმრობის საფუძვლიანობის მუდმივი გადახედვის საჭიროებაზე, ვინაიდან პატიმრობის სანყის ეტაპზე არსებული საფრთხე, რაც ამართლებდა პატიმრობას, შესაძლოა განეიტრალდეს და, შესაბამისად, გაუმართლებელი გახადოს პირის პატიმრობაში დატოვება.

პატიმრობის შუამდგომლობის დასაბუთებულობასთან დაკავშ-

⁷⁵ ECtHR 23 September 198, I.A. v. France, No. 28213/95, para.104. Quoted from “Effective Criminal Defence in Europe” by Ed Cape, Zaza Namoradz, Roger Smith and Taru Spronken, 2010, pg.31

⁷⁶ ECtHR 12 March, 2009, Aleksandr Makarov v. Russia, No.15217/07, para. 116, იქვე. pg. 31

⁷⁷ ECtHR 26 October, 2000, Kudla v.Poland, No. 30210/96 para.114, იქვე. pg. 31

ირებით უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა.⁷⁸ სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზეც და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამონურვამდე, ამართლებს პირის თავისუფლების აღკვეთას. ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, „შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან.“⁷⁹

განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიდგომა პირის თავისუფლების დაცვაში სასამართლოს როლზე. ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმე საქმე, მათ შორის, საქმე საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც აღინიშნა: „ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან ... და გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ბრძანების ფორმით. იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ სასამართლოს განეხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძიებინა მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩანერი-ლი აბსტრაქტული დებულებებით. ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ მიუთითებს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ საკითხის განხილვის „შესაბამისი გულმოდგინების“ არარსებობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან“.⁸⁰

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან

⁷⁸ ილიაკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, §85. ციტირებულია: „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრექსელი, თბილისი, 2009, გვ.583

⁷⁹ Sargia and Yagci v. Turkey, para. 50. იქვე, გვ. 582

⁸⁰ Giorgi Nikolashvili v. Georgia, no. 37048/04, para 73. ციტირებულია: წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი. ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი, 2010. გვ. 15.

დაკავშირებით, სასამართლომ წუხილი გამოხატა თურქეთის წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთ საქმეშიც, სადაც აღნიშნა, რომ „პირველი სასამართლოს გადანყვეტილებებში, რომლებიც ადასტურებდა პატიმრობას, გამოყენებული იყო თითქმის იდენტური და, შეიძლება ითქვას, ბანალური სიტყვები, ხოლო სამ შემთხვევაში საერთოდ არ ყოფილა მოყვანილი მიზეზები. ამ გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი წარმოდგენილ დასაბუთებასთან დაკავშირებით.“⁸¹

ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა ნათლად მოწმობს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო ბუნებაზე, რომლის გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, ყოველგვარი ასეთი კონკრეტული მახასიათებელი თუ გარემოება წარმოდგენილი უნდა იყოს იმ გადანყვეტილებაში, რომლითაც პირს ეფარდება პატიმრობა.

რაც შეეხება ბრალდებულის სხვა სპეციალურ პროცესუალურ უფლებებსა და გარანტიებს, აღნიშნული მოცემულია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც უფლებას ანიჭებს ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღკვეთა თავისუფლება, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს პატიმრობის კანონიერების შემოწმება. სასამართლოს კონტროლის დროული მოქმედება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევაში.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის ტექსტიტო განმტკიცებული შემდგომი სასამართლო კონტროლის უფლება, რაც პატიმრობის შესახებ მიღებული გადანყვეტილების გადასინჯვას გულისხმობს, სრულიად დამოუკიდებელია დაკავებული პირის სასამართლოში პირველადი წარდგენის ვალდებულები-სგან.⁸²

⁸¹ „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრექსელი, გვ.582

⁸² „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრექსელი, გვ.512

მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული კონვენციის ტექსტი გარანტიების ყოვლისმომცველ და სრულყოფილ ჩამონათვალს არ შეიცავს, თავისუფლებათა დაცვითი პირის უფლებების საზღვრები დადგენილია ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკით, რომლის მიხედვითაც, კონვენციის მე-5 (4) მუხლით გარანტირებული უფლებები შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) დაკავების/პატიმრობის კანონიერების ეფექტიანი გადასინჯვის უფლება სასამართლოს მიერ – დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ, მათი პატიმრობის კანონიერება გადასინჯულ იქნეს როგორც არსებითად, ისე პროცედურულად. კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს, რომ გადასინჯვის შედეგად შესაძლებელი იყოს ბრალდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სწრაფი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, თუკი დამტკიცდება, რომ პატიმრობა არაკანონიერი ან გაუმართლებელი გახდა გარკვეული დროის შემდეგ ან ცალკეული მოვლენებიდან გამომდინარე.⁸³ ერთი საინტერესო დეტალი, რაც ამ უფლებასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, არის ის, რომ სასამართლომ უნდა განიხილოს არა მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნების შესრულება, არამედ, ასევე, იმ ეჭვის გონივრულობა, რომელსაც ემყარება დაკავება და იმ მიზნის ლეგიტიმურობა, რომელსაც ემსახურება ეს დაკავება და შემდგომი პატიმრობა.⁸⁴

გ) მოსმენის გამართვის უფლება – ევროპული სასამართლოს განმარტებით, „იმ პირის შემთხვევაში, რომლის დაპატიმრებაც ექცევა მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის ფარგლებში, მოსმენის გამართვა აუცილებელია.“⁸⁵

⁸³ Case of Baranowski v. Poland, no. 28358/95, §68, ECHR 2000-III, ციტირებულია პუბლიკაციიდან: ნინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი. ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი, გვ.32

⁸⁴ Brogan and Others v. the United Kingdom, 29 November 1988, §65, ციტირებულია პუბლიკაციიდან: ნინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი. ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი, გვ.32

⁸⁵ ელოხი პოლინოეთის წინააღმდეგ, §126, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, მტეფან ტრექსელი, გვ.537

დ) თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითი პროცესის უფლება – აღნიშნული გულისხმობს ორივე მხარის შესაძლებლობას, გაეცნოს და გამოთქვას საკუთარი აზრი მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არგუმენტაციაზე. „არ არის აუცილებელი მე-5(4) მუხლთან დაკავშირებული სამართალწარმოება აკმაყოფილებდეს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც მოთხოვნილია სამართლიანი სასამართლოს უფლებით (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი). თუმცა, ეს უნდა იყოს სამართალწარმოება, რომელიც პირს უზრუნველყოფს იმ გარანტიებით, რომელთა გამოყენებითაც იგი ეფექტიანად იდავებს მის მიმართ პატიმრობის შეფარდების სამართლიანობასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება გადასინჯვის პროცედურა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებები და სამართალწარმოება უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს ძირითად მოთხოვნებს.“⁸⁶

ე) საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლება – ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს საგამოძიებო მასალებზე ხელმისაწვდომობა, რაც საფუძველია იმისა, რომ პატიმარმა სადავოდ გახადოს ის არგუმენტაცია და ფაქტები, რომელთა საფუძველზეც წინასწარ პატიმრობას უფარდებენ.

ამასთან, ამ უფლებით ეფექტური სარგებლობისთვის ხელისუფლების ორგანოების წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ მხარეს ეცნობოს პატიმრობის გადასინჯვის პროცედურის შესახებ, რათა მას გააჩნდეს შესაძლებლობა, წარადგინოს კომენტარები იმ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც ხდება წინასწარი პატიმრობის გაგრძელება.⁸⁷

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული, როდესაც „დამცველს ხელი არ მიუწვდება გამოძიების მასალებში

⁸⁶ Case of Lietzow v. Germany, no.24479/94, §44, ECHR 2001-Im, ციტირებულია პუბლიკაციიდან: წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათ სამართლის ანალიზი. ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი, გვ.33

⁸⁷ Lietzow case, §44, and Schops Case, §44, იქვე, გვ.35

არსებულ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის დაპატიმრების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის.”⁸⁸

- ვ) **დამცველის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული უფლება**, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გულისხმობს სახაზინო ადვოკატის ყოლის უფლებას.
- ე) **უფლება საქმის დროულ განხილვაზე** – შეჯიბრებითი პროცესის უფლებასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს 2010 წლის 27 მაისს ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ „შიდა კანონმდებლობით და პრაქტიკით, პროკურორს უპირატესობა გააჩნდა, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, მიემართა შუამდგომლობებით სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რომლებზეც პირველი განმცხადებელი ვერ იდავებდა ვერც ზეპირსიტყვიერად და ვერც წერილობით. შესაბამისად, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვა მოკლებული იყო შეჯიბრებითობას და, შესაბამისად, დარღვეული იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი”.⁸⁹

- **ევროპული სასამართლოს მიდგომა გირაოს გამოყენებასთან მიმართებით**

საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომა, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ თავისი მიდგომა ჩამოაყალიბა რამდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის: რა შემთხვევაში არის/არ არის გონივრული გირაოს გამოყენება, როგორ უნდა მოხდეს გირაოს ოდენობის გამოთვლა, რა არის სახელმწიფოს ვალდებულება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

⁸⁸ Lamy v. Belgium, იქვე, გვ.39

⁸⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Saghinadze and Others v. Georgia, № 18768/05, 27 მაისი, 2010. §146

ევროპული სასამართლოს განმარტებით, „გირაო შეიძლება საჭირო იყოს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ არსებობს პატიმრობის გამართლების დამაჯერებელი მიზეზები.“⁹⁰ ამასთან, გირაოს გამოყენება, ცხადია, გონივრულად არ არის მიჩნეული ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ მიუთითა, რომ „მისი გამოყენება არ იქნება ეფექტიანი მტკიცებულებების განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით.“⁹¹

გირაოს ოდენობასთან დაკავშირებული საკითხი, როგორც დასაწყისში აღინიშნა, მჭიდროდაა დაკავშირებული აღკვეთის ღონისძიებების დამძიმებასთან იმ შემთხვევაში, თუ სათანადო დროში ვერ მოხდება შეფარდებული გირაოს გადახდა. ამიტომ, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიდგომა გირაოს ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით: „გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ საქმის აღძვრა მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემაკავებელ ფაქტორს.“⁹²

და ბოლოს, გირაოს შესაძლო სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას იგივე გულმოდგინების ვალდებულება დააკისრა სახელმწიფოებს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადანყვეტისას.⁹³

რეკომენდაცია

- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დადგენა

⁹⁰ ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998), 380. ციტირებულია „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფან ტრექსელი. გვ.593

⁹¹ გრაბენვარტერი (2003), §21, ჰეფლიგერი და შურმანი (1999) §115, გვ.593

⁹² Neumeister v. Austria para 14, Iwanczuk v. Poland, para. 66, Moussa v. France. იქვე გვ. 593

⁹³ Schertenleib v. Switzerland, Iwanczuk v. Poland para. 66, იქვე გვ. 593

სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ირგვლივ არსებული საერთო მდგომარეობა, რათა პასუხი გასცეს ორ კითხვას: 1. სახეზე არის თუ არა ამ კონკრეტული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური (მტკიცებულებების მოპოვების დროს არ დარღვეულა საპროცესო ნორმა, რაც ამ მტკიცებულების გაუქმებას გამოიწვევდა) და ფაქტობრივი საფუძველი (სასამართლომდე მოტანილი მტკიცებულებები საკმარისია, რათა დავასკვნათ, რომ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება აუცილებელია); 2. სახეზე არის თუ არა ამ კონკრეტული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის – პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა.

- გარემოებების გონივრული და ინდივიდუალური შეფასება

თითოეული საქმის განხილვისას სასამართლომ იხელმძღვანელოს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე და არა – ზოგადი ტენდენციებით (მაგალითად, პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმის გამო, რომ პირს ბრალად ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა). სამართალწარმოების მანძილზე გამოყენებული პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, შეიცვალა თუ არა ვითარება საიმისოდ, რომ პირს აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება შეეცვალოს უფრო მსუბუქით.

- გასაჩივრების მექანიზმის დახვეწა

შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრებისას, შუამდგომლობაში ახალი გარემოების მითითების საჭიროება ამოღებული უნდა იქნეს 206-ე მუხლის მე-8 ნაწილიდან.

თავი IV

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას დაემატა ახალი, ქართული იურისპრუდენციის ისტორიაში მანამდე უცნობი ინსტიტუტი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დღესდღეობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მწირი პრაქტიკა უკვე არსებობს.⁹⁴ მიუხედავად სიმწირისა, აღნიშნულმა მაინც გამოკვეთა რიგი გარემოებები, რაც დამატებით ძალისხმევას მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებისთვის.

4.1. ნაფიცი მსაჯულების დაცვა გარეშე ზეგავლენისგან

ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა ნაფიცი მსაჯულების უზრუნველყოფა ისეთი გარემოთი, რომელიც მათ ვერდიქტს მხოლოდ სასამართლო პროცესზე მიღებულ ინფორმაციაზე დააფუძნებს. გარემო პირობების ანალიზისას ნათელი ხდება, რომ ნაფიცი მსაჯული სრულიად დაუცველია გარეშე ზეგავლენისგან. მისი კონტროლი, არ მოიძიოს ინფორმაცია სასამართლო სხდომის მიღმა და თავისი ვერდიქტი დაყრდნობილ იყოს მხოლოდ სასამართლო პროცესზე გამოკვლეულ მტკიცებულებებზე, ფაქტობრივად არ არსებობს.

• შიდა კანონმდებლობა

ნაფიც მსაჯულთა სამართლებრივ სტატუსს, მათ უფლებამოვალეობებს განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. შესაბამისად, აღნიშნულ ნორმატიულ აქტში უნდა იყოს მოცემული ის ღონისძიებებიც, რომლებიც ემსახურება მის დაცვას გარეშე ზეგავლენისგან. ასეთი ღონისძიება, შეიძლება ითქვას, რომ რეალურად არ არსებობს. საპროცესო კოდექსით⁹⁵ გათვალისწინებულია მხოლოდ ნაფიცი მსაჯულის შეზღუდვა

⁹⁴ ნაფიც მსაჯულთა ორი სასამართლო ჩატარდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

⁹⁵ სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

მოსამართლის განმარტებით, რომ მან არ მოიძიოს ინფორმაცია სხდომის ფარგლებს გარეთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე მაკონტროლებელ მექანიზმს, რომლითაც რეალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა ნაფიცი მსაჯულის მიერ ამ ვალდებულების შესრულება. საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია არსებული მედია საშუალებების მიერ დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ინტენსივობის ფონზე და იმ პირობებში, როდესაც ინფორმაციის გავრცელების მასშტაბები უკონტროლოა. არსებულ რეალობაში ნაფიც მსაჯულებს მედიაში გაჟღერებული ინფორმაციის მიმართ შეუზღუდავი წვდომა აქვთ. მათ მიერ ამ წყაროებიდან ინფორმაციის გაცნობა არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება. ეს კი, საქმის განხილვისას მსაჯულთა მიუკერძოებლობის საკითხს საფრთხის ქვეშ აყენებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომებისა და სხვა სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც აღნიშნული ინსტიტუტის მოქმედების დიდი გამოცდილება არსებობს, ნათელია, რომ აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება ამ მიმართულებით. საჭიროა შეიქმნას გარემო, რომელშიც ნაფიცი მსაჯული დაცული იქნება გარეშე ზემოქმედებისგან, რაც უზრუნველყოფს საქმის მიუკერძოებლად განხილვის შესაძლებლობას.

• *ევროპული სასამართლოს პრაქტიკა*

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, პრესის მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას აქვს მეტად სათუთი ურთიერთკავშირი სამართლიანი განხილვის უფლებასა (მე-6 მუხლი) და ინფორმაციის თავისუფლებასთან (მე-10 მუხლი).⁹⁶ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ზოგადად მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა ჩატარდეს საჯაროდ. აღნიშნულის მიზანია, ერთი მხრივ, მხარეთა დაცვა საზოგადოების დაკვირვების გარეშე წარმოებული ფარული მართლმსაჯულებისგან და, მეო-

⁹⁶ Ben Emmerson Q.C., Andrew Ashworth Q.C., and Alison Macdonald. Human Rights and Criminal Justice. London, 2007, Sweet and Maxwell. p. 508

რე მხრივ – საზოგადოების ნდობის შენარჩუნება.⁹⁷ სასამართლომ მიიჩნია, რომ პრესის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამ კონტექსტში და მედიის მიერ სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლმსაჯულების საზოგადოებრივ ადმინისტრირებაში.⁹⁸

მიუხედავად ამისა, იგი შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული საფუძვლების არსებობისას, როდესაც საჭიროა ამა თუ იმ კონკრეტული ინტერესის დაცვა, მათ შორის, წინასწარი ზეგავლენისგან თავის არიდება.⁹⁹ მე-10 მუხლი შეიცავს ნაკლებად კონკრეტულ, თუმცა, შინაარსობრივად იდენტურ განსაზღვრებას, როდესაც ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად უთითებს სასამართლოს მიუკერძოებლობას.

როგორც აღინიშნა, ინფორმაციის თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის საკითხები ერთმანეთთან ურთიერთკავშირში მყოფი თემებია, რომელთა თანაარსებობა გარკვეული ბალანსის დაცვას მოითხოვს. ასეთი საჭიროების შემთხვევაში კი, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამართლიანი განხილვის უფლებას.¹⁰⁰

ევროპული სასამართლო მედიის მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას ყურადღებას ამახვილებს იმაზე, განცხადების შინაარსი არღვევს თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას.¹⁰¹ ამასთანავე, იგი აცხადებს, რომ საშიშმა მედია კამპანიამ უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი ოფიციალური განცხადებების გარეშეც კი შეიძლება იმოქმედოს ბრალდებულის წინააღმდეგ და დაარღვიოს სამართლიანი განხ-

⁹⁷ Pretto & Others v. Italy, Judgment 1983, Para 21 Cited from the book: Ben Emmerson QC., Andrew Ashworth Q.C., and Alison Macdonald. Human Rights and Criminal Justice, p. 508

⁹⁸ *ibid*, para.21

⁹⁹ Cf. T and V v. United Kingdom (2003) 30 E.H.H.R. 121 *ibid*, p. 508

¹⁰⁰ Axen v. Germany (1984) 6 E.H.H.R. 195, para 25; Woolf productions and the N.U.J v. United Kingdom, (1987) 10 E.H.H.R. 505. Cited from the book: Ben Emmerson QC., *ibid*, p. 509

¹⁰¹ (1995) 20 E.H.H.R. 557. *ibid*, p. 509

ილვის უფლება.¹⁰²

კომისიამ ასევე მიუთითა, რომ მასმედიისა და შესაბამისი თანამდებობის პირებისგან არ უნდა მოველოდეთ ყველა სახის განცხადებისგან თავის შეკავებას, მაგალითად, როგორცაა უბრალოდ იმის აღნიშვნა, რომ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი გამოძიება, ან ის, რომ ეჭვმიტანილი არსებობს. თუმცა, აუცილებელია გამოირიცხოს განცხადება კონკრეტული პირის ბრალეულობის შესახებ.¹⁰³

კომისიას ხშირად მიუთითებია, რომ როდესაც საქმეს განიხილავს პროფესიონალი მოსამართლე, წინასწარი გავლენის რისკი არსებითად შემცირებულია და პრესას მეტი თავისუფლება აქვს მინიჭებული.¹⁰⁴ ამ შემთხვევაში, მოსამართლე არის პროფესიონალი, რომელიც სრულად აცნობიერებს, რომ მისი გადაწყვეტილება, რომლის დასაბუთების ვალდებულებაც გააჩნია, უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლოზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს. ეს მოცემულობა რამდენიმე ასპექტში განსხვავდება ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვისგან: ისინი არ არიან პროფესიონალი იურისტები, რაც გარკვეულ წინაპირობებს თავისთავად ქმნის და, ამასთან, მათ, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ევალებათ დასკვნების დასაბუთება.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გამოცემული რეკომენდაციების კრებული წევრი სახელმწიფოების მიმართ – „მედია საშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელების პირობები სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით“ *inter alia* მე-10 პრინციპში ითვალისწინებს: „სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროცესში მონაწილეობენ ნაფიცი მსაჯულები ან არაპროფესიონალი მოსამართლეები, სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები დაცული უნდა იქნეს საჯაროდ მოწოდებული ინფორმაციისგან, რომელიც ატარებს არსებითი ზეგავლენის რისკს სამართლიანი განხილვის უფლებასთან დაკავშირებით.“¹⁰⁵

¹⁰² X.v Austria (1963) 11 C.D. 37 at 43 Cited from the book: Ben Emmerson QC., Andrew Ashworth Q.C., and Alison Macdonald. Human Rights and Criminal Justice, p. 509

¹⁰³ App. No.9433/81, (1981) 2 Dig. 738 ibid, 509

¹⁰⁴ APP. No.7748/76, (1977) Dig. 688. Cited from the book: Ben Emmerson QC., Andrew Ashworth Q.C., and Alison Macdonald. Human Rights and Criminal Justice, p. 510

¹⁰⁵ Council of Europe Rec (2003) 13E, July 10, 2003

• **სხვა ქვეყნების პრაქტიკა**

- ინგლისი

ინგლისის მართლმსაჯულების სისტემა ფრთხილია ინფორმაციის მედით გავრცელებისა და სამართალწარმოების ობიექტურობის ურთიერთკავშირისას. სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმაციის არაგონივრული საჯაროობა ატარებს სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევის გარდაუვალ რისკს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობას.¹⁰⁶

ინგლისის სასამართლოებმა აღნიშნულ რისკს შემდეგნაირად უპასუხეს: ინფორმაციის საჯარო გავრცელებამ, თუ ის წინასწარი ზეგავლენის მქონეა, შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს იმ საფუძვლით, რომ სახეზეა პროცესის ბოროტად გამოყენება, სადაც სამართლიანი განხილვა შეუძლებელია.¹⁰⁷ გარდა ამისა, გარკვეულ ინსტანციებში ამას შეიძლება ბრალდების გაუქმებაც კი მოჰყვეს.¹⁰⁸ წინასწარი ზეგავლენის მომხდენი პუბლიკაციის გამოქვეყნების გამო გამომცემელი შეიძლება დაისაჯოს „სასამართლოსათვის უპატივცემლობის“ (Contempt of Court Act 1981) 1981 წლის აქტის საფუძველზე.¹⁰⁹ თუ პროცესი მიმდინარეობს (მაგალითად, პირი დაპატიმრებულია, ან დაპატიმრების ბრძანებაა გაცემული, ან გამოძახებულია სამართალდამცავ ორგანოში), დანაშაულს წარმოადგენს იმგვარი მასალების გავრცელება, რომლებიც ქმნის არსებით რისკს მართლმსაჯულების დაბრკოლების ან მისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევისთვის.¹¹⁰ საქმეში *Attorney General v. BBC*¹¹¹ ტელეკომპანიას ბრალი დაედო სასამართლოსთვის უპატივცემულობაში იმისთვის, რომ მან გაავრცელა არაზუსტი ინფორმაცია

¹⁰⁶ Ben Emmerson QC., Andrew Ashworth Q.C., and Alison Macdonald. Human Rights and Criminal Justice. p.506

¹⁰⁷ R. v Reade October 15, 1993, Central Criminal Court (Garland J.); R. v Magee and others, January 24, 1997., Belmarsh Crown Court, (Kay J.) (escape from Whitemoor).

¹⁰⁸ R.v McCann and ors (1991) 92 Cr.App.R.239; R.v Taylor and Taylor (1994) 98 Cr.App.R.361; R.v Wood {1996} 1 Cr.App.R.207

¹⁰⁹ Ben Emmerson QC., Andrew Ashworth Q.C., and Alison Macdonald. Human Rights and Criminal Justice. p.506

¹¹⁰ S.2(2) of the Contempt of Court Act 1981.

¹¹¹ {1992} C.O.D. 264

სასამართლო განხილვის შესახებ, რომელიც ახალი დაწყებული იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო წინასწარი ზეგავლენის არსებითი რისკი, მიუხედავად იმისა, რომ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამ საქმეში არ იყო ნაფიც მსაჯულთა დათხოვნის აუცილებლობა.

სასამართლოს სხდომის თავმჯდომარემ, „სასამართლოსათვის უპატივცემულობის“ აქტის¹¹² საფუძველზე, შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება მიმდინარე საქმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების სხვა დროისთვის გადადებაზე იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნეს მართლმსაჯულების ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეხება ისეთი ინფორმაციის გავრცელების გადადებას, რომელიც არ არის კავშირში უშუალოდ საქმის შინაარსთან. ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა – ინფორმაციის გავრცელება, მიუხედავად აკრძალვისა, ექვემდებარება პასუხისმგებლობას (Strict liability) „სასამართლოსათვის უპატივცემულობის“ აქტის თანახმად.¹¹³ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებაზე სხვა დამატებითი შეზღუდვები ავტომატურადაა დაწესებული წინასასამართლო გამოძიების დროს.¹¹⁴

- ამერიკის შეერთებული შტატები

განსხვავებულია მიდგომა ნაფიც მსაჯულთა გარეშე ზეგავლენისგან დაცვასთან დაკავშირებით აშშ-ის კანონმდებლობაში. მაშინ, როდესაც ინგლისი, სამართლიანი განხილვის უფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობას ანიჭებს სამართლიანი განხილვის უფლებას და ამ უფლების უზრუნველსაყოფად ლეგიტიმურად მიიჩნევს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას, აშშ-ში ორივე უფლებას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება და არც ერთის შეზღუდვა არ დაიშვება მეორეს სასარგებლოდ. აღნიშნული უფლებების დაცვა ხორციელდება დამატებითი ღონისძიებების ხარჯზე, რომელთა გატარებაც ხდება ნაფიც მსაჯულთა მიმართ.

საქმეში *Nebraska Press Association v. Stuart*, 427 U.S. 539 (1976) აშშ-

¹¹² s. 4(2)

¹¹³ s. 1

¹¹⁴ See s.8(4) of the Magistrates Court Act 1980

ის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაში წინასასამართლო საჯაროობა წარმოშობს გარკვეულ „მოუგვარებელ საფრთხეს“ მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის გადაწყვეტის დროს. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება „სენსაციურ სისხლის სამართლის საქმეს“, ბრალდებულის უფლება – საქმის მიუკერძოებლად განხილვა – სერიოზული საფრთხის ქვეშ შეიძლება დადგეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხი ასეთი საფრთხის მიმართ, კონსტიტუციის თანახმად, რომელიც ასევე აღიარებს პრესის თავისუფლების ღირებულებას საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, იქნება კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რომლებიც დაიცავს ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ ჟიურიზე, პრესის შეზღუდვის გარეშე.

სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეში მიუთითა: არ არსებობს საკმარისი საფუძველი დავასკვნათ, რომ ტრადიციული სასამართლო მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ ჟიურიზე. ეს ღონისძიებები მოიცავს: ა) სასამართლო სხდომის გადატანას ტერიტორიულად სხვა ადგილას; ბ) სასამართლო სხდომის გადადებას იქამდე, სანამ საზოგადოებრივი ყურადღება განელდება; გ) ნაფიც მსაჯულთა შერჩევას.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის უზენაესი სასამართლო ასევე აქცევს ყურადღებას, თუ რამდენად ეფექტურად გატარდა ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ღონისძიება კონკრეტული საქმის განხილვის დროს. საქმეში *Irvin v. Dowd*, 366 U.S. 717 (1960) სასამართლომ განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულებზე წინასწარი ზეგავლენის შედეგად, ბრალდებული ვერ იქნა უზრუნველყოფილი მიუკერძოებელი და ზეგავლენისგან თავისუფალი ჟიურის მიერ საქმის განხილვით, რაც გამონვეული იყო საქმის შესახებ აღმაშფოთებელი ინფორმაციის წინასასამართლო ეტაპზე ინტენსიური გავრცელებით. მოცემულ საქმეში სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია სასამართლო სხდომის ტერიტორიულად სხვა ადგილას გადატანა. აღნიშნულის საფუძველზე, მან გააუქმა განაჩენი.

აშშ-ს აქვს ასევე სხვა მექანიზმებიც, რომლის ხარჯზეც ხდება ნაფიც მსაჯულთა დაცვა გარეშე ზეგავლენისგან. ასეთია, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სეკვესტრირება, მათი ერთად ყოფ-

ნის უზრუნველყოფა სპეციალურად გამოყოფილი მეთვალყურის მიერ.

მაგალითად, ჩრდილოეთ კაროლინაში მოსამართლემ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური მეთვალყურისთვის ნაფიც მსაჯულთა მინდობის შესახებ, რომლის დროსაც მეთვალყურე უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა ერთად ყოფნას, მათ მიერ სხვა პირებთან კომუნიკაციის ან არასათანადო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის აკრძალვას.¹¹⁵ იგივე მექანიზმები მოქმედებს კალიფორნიაში.¹¹⁶

როგორც გამოჩნდა, გარეშე ზეგავლენისგან ნაფიცი მსაჯულის დაცვის მიზნის მისაღწევად ორი სახის მიდგომა არსებობს: 1) სამართლიანი განხილვის უფლების დაცვა ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ფონზე (ინგლისი); 2) სამართლიანი განხილვის უფლების დაცვა ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის გარეშე, ბალანსის მისაღწევად დამატებითი მექანიზმების შემოღებით.

ამასთან, ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში დასახელებულთაგან პირველ მიდგომას ირჩევს.

რეკომენდაციები

- დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის ფარგლები გამოსატვის თავისუფლებასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, კანონმდებლობით შეიზღუდოს პრესის და მედიის საშუალებით სავარაუდო დამნაშავის ან მონმის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, ასევე, საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საქმის განხილვის დასრულებამდე.

- დამატებითი მექანიზმები პროცესის მიმდინარეობისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი დამატებითი ზომები, როგორცაა, მაგ-

¹¹⁵ North Carolina General Statutes §15A-1236. Available at official site: <http://www.ncga.state.nc.us/gascripts/statutes/statutelookup.pl?statute=15A>

¹¹⁶ California Penal Code, Title 7, Chp. 2, §1121 and §1128: Available at official California government website: <http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/displaycode?section=pen&group=01001-02000&file=1093-1130>

ალითად, ნაფიცი მსაჯულისთვის მეთვალყურის გამოყოფა ინფორმაციის მოძიებაზე კონტროლის მიზნით; ნაფიც მსაჯულთა ერთად ყოფნის უზრუნველყოფა პროცესის დასრულებამდე.

4.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი შეიძლება იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი, რომელიც არ შეიცავს დასაბუთებას. ვერდიქტის შინაარსში შედის მხოლოდ ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომელშიც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ან უდანაშაულოდ.¹¹⁷

ვერდიქტის დასაბუთების საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განსჯის საგანი გახდა.

ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული მიდგომის თანახმად, სასამართლო პროცესის მთლიანობის გათვალისწინებით მსჯავრდებულს და, ასევე, საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გაიგოს, თუ რატომ მოხდა ბრალდებულის მსჯავრდება.¹¹⁸ ამისათვის აუცილებელია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიეცეს კონკრეტული კითხვები იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც დანაშაულის დამაფუძნებელი გარემოებებია, ასევე, იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც სასჯელის დამძიმებას ან შემსუბუქებას ეხება და იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც კონკრეტულად ბრალდებულის როლს და მის მონაწილეობას ასახავს ამ დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, თუ სახეზეა რამდენიმე ბრალდებული, კითხვები დასმული უნდა იყოს ინდივიდუალურად თითოეული ბრალდებულის მიმართ.¹¹⁹

იმ შემთხვევაში, თუ კითხვები ზემოაღნიშნული დეტალურობით და სიზუსტით არ არის დასმული, მაშინ ევროპული სასამართლოს დიდი პალატა, თავისი გადაწყვეტილებით, საქმეში *Taxquet v. Belgium*, აცხადებს, რომ შიდა კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმს არა

¹¹⁷ ssk-is 262-e muxli.

¹¹⁸ *Taxquet v. Belgium*, no. 926/05, § 90, ECHR 2010-X.

¹¹⁹ *ibid.* §§ 88; 92; 97; 98.

მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ფაქტობრივ საფუძვლებზეც, რომლითაც იგი გაანეიტრალებს ვერდიქტის დაუსაბუთებლობას.¹²⁰

ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა შემდეგი: იმისათვის, რათა ვერდიქტის გამოტანისას სამართლიანი სასამართლოს უფლება სამართლიანი განხილვის კომპონენტით იყოს უზრუნველყოფილი, მთლიანობაში, სასამართლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს დასაბუთებულობა. შეიძლება სახეზე იყოს საქმის დასაბუთებულობის ორი ალტერნატიული კრიტერიუმი: 1. კონკრეტული კითხვები მსაჯულებისთვის; 2. განაჩენის გასაჩივრება ფაქტობრივ საფუძვლებზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომა არა მხოლოდ ზემოთ მოყვანილ უახლეს გადაწყვეტილებაში (*Taxquet v. Belgium*), არამედ, მანამდე სხვა გადაწყვეტილებებშიც განავითარა ევროპულმა სასამართლომ.¹²¹

- **კონკრეტული კითხვები ან გასაჩივრება ფაქტობრივი საფუძვლით**

აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, საინტერესოა, განვიხილოთ საპროცესო კოდექსის მოთხოვნები ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია, რომ ნაფიც მსაჯულებს მოსამართლე აძლევს განმარტებებს, რომელთა ფორმულირებაში მხარეები ასევე იღებენ მონაწილეობას.¹²²

აღნიშნული განმარტებები შეეხება ბრალდების შინაარსს, როგორ უნდა მოიქცეს ნაფიცი მსაჯული ვერდიქტის გამოტანისას და, ზოგადად, რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს. კოდ-

¹²⁰ *ibid.* § 99.

¹²¹ საქმეში *Taxquet v. Belgium*, *sasamarTlos didma palatam moiyvana saqmeebi, romlebic, erTi mxriv, strasburgis sasamarTlom CaTvala dasabuTebulad kiTxvebis sizustis gamo, xolo, meore mxriv, darRvevad miiCnia maTi bundovanebis gamo: Papon v. France*, no. 54210/00, ECHR 2001-XII; *Ballerin Lagares v. Spain*, no 31548/02, 4 Novemer 2003; *Göktepe v. Belgium*, no. 50372/99, 2 June 2005;

¹²² იხ. სსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ექსი არ ითვალისწინებს კონკრეტული და ინდივიდუალური შეკითხვების დასმის შესაძლებლობას. განმარტებების მიღების შემდგომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადის ვერდიქტის გამოსატანად. ნაფიც მსაჯულებს ევალებათ მხოლოდ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი ვერდიქტის ფორმის შევსება.¹²³ პროცესის ამგვარი ხასიათი მიუთითებს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს განაჩენის დასაბუთებულობის უზრუნველმყოფი ერთ-ერთი მექანიზმის – კითხვების დასმის შესაძლებლობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს სხვა ალტერნატიული მექანიზმი – გასაჩივრება ფაქტობრივი საფუძვლებით, რაც დასაბუთებულობის უზრუნველყოფის ალტერნატიული გზაა.

შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არც ერთ ზემოაღნიშნულ მექანიზმს. არ არის გათვალისწინებული კითხვები, რომლებსაც ნაფიცმა მსაჯულმა ვერდიქტში კონკრეტულად უნდა გასცეს პასუხი. გათვალისწინებული არ არის ასევე ვერდიქტის გასაჩივრება ფაქტობრივი საფუძვლებით.

დასაბუთებულობის ნაწილში ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული შესაძლებლობები ვერ უახლოვდება ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომას და, ამდენად, საჭიროებს რევიზიას აღნიშნული მიმართულებით.

რეკომენდაციები

- კითხვების დასმა ან გასაჩივრების შესაძლებლობა ფაქტობრივი საფუძვლით

აუცილებელია, რომ შიდა კანონმდებლობამ ზემოაღნიშნული ორი ალტერნატიული მექანიზმიდან ერთ-ერთი გაითვალისწინოს: 1. ვერდიქტის გამოსატანად ნაფიცი მსაჯულისთვის კონკრეტული კითხვების დასმა; 2. ვერდიქტის გასაჩივრებისთვის შემოიტანოს დამატებით ახალი საფუძველი: ფაქტობრივი საფუძვლის გამო გასაჩივრება.

¹²³ იხ. სსსკ-ის 256-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები; 262-ე მუხლი.

თავი V

არაერთგზისი დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსმა ბოლო წლებში არაერთი ცვლილება განიცადა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, მაგრამ საბოლოო ჯამში, მეტად საყურადღებო ცვლილებებზე, რომლებიც ნეგატიურად აისახება ბრალდებულის და მსჯავრდებულის ინტერესებზე.

სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს არაერთგზისი დანაშაულს, როგორც დანაშაულთა ერთობლიობის ნაირსახეობას.

2007 წელს ცვლილება შეეხო არაერთგზისი დანაშაულის განმარტებას. მანამდე დანაშაული არაერთგზისად ითვლებოდა, თუ პირი ჩაიდენდა ორ ან მეტ დანაშაულს, რომლებიც ერთი მუხლით იყო გათვალისწინებული.¹²⁴ ცვლილების თანახმად, ერთზე მეტი დანაშაულის ჩადენა რომ არაერთგზისობად ჩაითვალოს, ამისათვის აუცილებელია მანამდე ჩადენილი დანაშაულისათვის პირის ნასამართლობა. სხვა შემთხვევაში, ერთი და იგივე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაული ჩაითვლება არა დანაშაულის არაერთგზისობად, არამედ დანაშაულთა ერთობლიობად, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს გვაძლევს სასჯელის ნაწილში.

კერძოდ, დანაშაულთა ერთობლიობისას – თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის შეკრება ხდება, ხოლო დანაშაულთა არაერთგზისობისას – ხდება ერთი მუხლით კვალიფიკაცია, რაც ერთი სასჯელის დანიშვნას გულისხმობს შეკრების გარეშე. შესაბამისად, არაერთგზისობა, სიმძიმის თვალსაზრისით, უფრო მსუბუქი შედეგით ხასიათდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ზღვრის სწორად გავლება არაერთგზისობასა და ერთობლიობას შორის.

მაგალითის სახით შესაძლოა განხილულ იქნეს ქურდობის შემთხვევა. თუ პირმა ოთხჯერ ჩაიდინა ქურდობის შემადგენლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (177-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რასაც ყველაზე ხშირად აქვს ადგილი პრაქტიკაში), არსებული რედაქციის მიხედვით, აღნიშნული დანაშაულთა ერთო-

¹²⁴ არაერთგზისი იყო ასევე სხვა და სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუ არაერთგზისობა მითითებული იყო შესაბამის მუხლში.

ბლიობად დაკვალიფიცირდება. შესაბამისად, ოთხივე ქმედებისათვის ცალ-ცალკე შეიკრიბება სასჯელი და, საბოლოოდ, პირს დაენიშნება მინიმუმ 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ცვლილებებამდე არსებული რედაქციით, აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდებოდა დანაშაულთა არაერთგზისობად (117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და სასჯელის სახედ შეიძლებოდა განსაზღვრულიყო თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ 7 წლით.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2007 წელს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილება ბრალდებულის საზიანოდ აისახა.

რეკომენდაცია

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულის არაერთგზისობის (მე-15 მუხლი) ცნება უნდა შეიცვალოს 2007 წლის 4 ივლისამდე არსებული რედაქციით, კერძოდ, არაერთგზისი დანაშაულის წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს პირის ნასამართლობა.

თავი VI

სანქციის სახით ჯარიმის განჭვრეტადობა

ევროპული სასამართლო თავის გადანყვეტილებებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონის განსაზღვრულობის საკითხს, როგორც კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოს უპირობო ელემენტს. უპირველესად, ეს ნიშნავს იმას, რომ, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში, დაუშვებელია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში ნებისმიერი ჩარევა, თუ ის არ შეესაბამება კანონმდებლობას. კანონმდებლობა კი, თავის მხრივ, რამდენიმე მოთხოვნას უნდა პასუხობდეს.

ევროპული სასამართლო თავის გადანყვეტილებებში ეხება კანონის განსაზღვრულობის საკითხს და ჩამოთვლის შესაბამის მოთხოვნებს, რომლებიც შემზღუდველ ნორმას უნდა ახასიათებდეს. სასამართლომ თავის გადანყვეტილებებში დაამკვიდრა სტანდარტი, თუ როგორი უნდა იყოს ნორმა, რომ იგი შემზღუდავი ღონისძიების სამართლებრივ საფუძვლად ჩაითვალოს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონი პირველ რიგში უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოქალაქისთვის. კანონი ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ სამართლებრივ საფუძვლად, თუ მასში ნორმა არ არის ფორმულირებული ცხადად და გარკვევით. იგი მოქალაქეს უნდა აძლევდეს საშუალებას, ამოიცნოს კანონის არსი და თავისი ქმედება შეუსაბამოს მას. მოქალაქეს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეეძლოს, განჭვრიტოს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს კონკრეტულ ქმედებას.¹²⁵

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გამოიკვეთა კანონის განჭვრეტადობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც საჭიროებს განხილვას. სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს კონკრეტულ ნორმებს, რომლებშიც არ არის საკმარისად განსაზღვრული შეზღუდვის საფუძველი. აღნიშნული ნორმები ბუნდოვანია და საჭიროებს დაკონკრეტებას, რათა შესაბამისო-

¹²⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები საქმეებზე: შილვერ ანდ შტჰერს ვ. ტჰე უნიტედ კინგდომ, 25 მარტი, 1983, §88; შუნდაყ თიმეს ვ. უნიტედ კინგდომ, 26 აპრილი, 1979, § 49.

ბაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან.

• **სისხლის სამართლის კოდექსი**

სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს სასჯელს (პირველი მუხლი).

ჯარიმა წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ სახეს. სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მაშინაც, როდესაც იგი დამატებით სასჯელად არ არის გათვალისწინებული შესაბამის მუხლში.

ზემოაღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის სამართლებრივი შედეგი არ არის განჭვრეტადი. მოქალაქეს არ აქვს გონივრული შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვროს მის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შედეგები. მოქალაქისთვის შეუძლებელი რჩება იმის გარკვევა, დაეკისრება მას დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა თუ – არა.

სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა, რომელიც ადგენს ჯარიმის დაკისრებას დამატებით სასჯელად მაშინაც კი, როდესაც იგი სასჯელად გათვალისწინებული არ არის, არ შეესაბამება კანონის განჭვრეტადობის სავალდებულო მოთხოვნას. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი, როგორც შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი, ვერ აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს ამ მიმართულებით.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ განჭვრეტადობის პრინციპს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ უფრო აზუსტებს თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში: „კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები სავარაუდო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბთან დაკავშირებით და მოსამართლეს შე-

ძღვებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი იმოქმედებს. ამასთან, მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა.¹²⁶

მოცემულ შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრება სასჯელის სახით ინტენსიურ ჩარევას გულისხმობს, რაც კანონმდებელს ავალდებულებს, რომ აღნიშნული პირდაპირ განსაზღვროს თითოეული მუხლში სანქციის სახით.

არსებული მსჯელობის ფარგლებში უნდა გამოიყოს ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩანაწერი საგამონაკლისო უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

• **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**

როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებას (84-ე მუხლი), ასევე აწესებს ჯარიმას, რომელსაც მოსამართლე აკისრებს დაცვის მხარეს ამ უფლების გამოყენებისას. ნორმაში მითითებულია, რომ ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს მხარის ფინანსურ მდგომარეობას.

მოცემული ნორმა ჯარიმის ფარგლებს არ ადგენს, შესაბამისად, ჯარიმა შეიძლება ინტენსიურ ჩარევაში გამოიხატოს, თუკი მოსამართლის მხრიდან ადგილი ექნება დიდი ოდენობით მის დაკისრებას. აღნიშნული დაცვის მხარეს ნორმა არ აძლევს გონივრულ საშუალებას, წინასწარ განსაზღვროს მიახლოებითი სამართლებრივი შედეგი საგამონაკლისო უფლებით სარგებლობისას.

მოსამართლისთვის დადგენილი ფარგლები (შემაკავებელი ხასიათი, ზიანის პროპორციულობა და მხარის ფინანსურ მდგომარეობასთან შესაბამისობა) არ არის საკმარისი საფუძველი წინასწარი სავარაუდო შედეგის განსაზღვრისთვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი მოითხოვს დამატებით ცვლილებებს და ჯარიმის

¹²⁶ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, iurgan Svabe, 2011, - 2 BvR 794/95, გვ.374.

განსაზღვრას, რათა აღნიშნული ნორმა გახდეს განჭვრეტადი და შესაბამისობაში მოვიდეს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

რეკომენდაცია

- ამოღებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
- სსსკ-ის 84-ე მუხლში განისაზღვროს ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა.

დასკვნა

ანგარიშში მიმოხილულ იქნა სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე არსებული ხარვეზები, რაც, უმეტესწილად, საკითხების არასათანადო საკანონმდებლო რეგულირებას უკავშირდება. თუმცა, არის თემები, რომელთა პრობლემურობა არასწორი პრაქტიკის განვითარებამ განაპირობა. ანგარიშში განხილული თემები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათი მოქმედება სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან მოდის შემხებლობაში და, როგორც ზემოთ აღინიშნა, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მას.

დანაშაულის გამოვლენის სტადიაზე სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ხარვეზიანია საკანონმდებლო ბაზა. კანონის შესრულებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლის მიზნით, მოსამართლის და პროკურორის ზედამხედველობის ფუნქცია მნიშვნელოვნად იზღუდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების დროს. ასევე, კანონი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების პირობებისა და წესების შესახებ ბუნდოვანია, რაც ქმნის თვითნებობის მაღალ რისკს და ადამიანის პირად ცხოვრებაში არაგონივრული ჩარევის საფრთხეს. ამავ კანონით, სათანადოდ არ არის დარეგულირებული გასაჩივრების მექანიზმი დარღვეული უფლების აღდგენის უზრუნველსაყოფად.

საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს პრობლემა მდგომარეობს პრაქტიკასა და თავად კანონში. ერთ შემთხვევაში, არასწორად ხდება ნორმის განმარტება, რაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მაღალ რისკს წარმოქმნის ჩხრეკის ჩატარების დროს, ხოლო მეორე შემთხვევაში, კანონი განსაზღვრავს არათანაბარ პირობებს დაცვისა და ბრალდებისათვის მტკიცებულებათა მოპოვების დროს და მნიშვნელოვნად აზიანებს შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობას.

აღკვეთის ღონისძიების შერჩევის სტადიაზე ცალსახად იკვეთება დაუსაბუთებლობისა და არაპროპორციულობის პრობლემა, რითაც, უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს თავისუფლების ხელშეუხებლობის კონსტიტუციით და ევროპული კონვენციით დადგენილი უფლების შელახვასთან.

ცალკეული პრობლემები გამოვლინდა სისხლის სამართლის კოდექსთან მიმართებით. მათ შორის, არაერთგზისი დანაშაულის განსაზღვრება საჭიროებს პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას, რათა არ მივიღოთ გაუმართლებლად და არაგონივრულად მკაცრი სასჯელი. ინსტიტუციურ გაძლიერებას მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც.

ანგარიშში წარმოდგენილმა საკითხებმა ცხადყო, რომ სისხლის მართლმსაჯულებაში, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების განმტკიცების მიზნით, ჯერ კიდევ რჩება თემები, რაც რიგ პრაქტიკულ და საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს.